# ბრძოლის ხმა

1931 წ. იანვარი
პარიზი

N° 11

1931 — JANVIER
Paris

ყოველთვიური ორგანო საქ. სოც.-დემ. მუშ. პარტ. საზღვარგარეთელ ბიუროსი ⁝⁝ «L' ECHO DE LA LUTTE»—Revue mensuelle duParti Social-Démocrate Ouvr. de Géorgie.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაზღვროთ მგლოვიარე მეუღლე მარო, შვილები ბენო, კაკი, ნუცა და თამრი,
აუწყებენ ქართველ საზოგადოებას, რომ უდროოდ დაღუპულ მათთვის დაუვიწყარ

**ნოე რამიშვილის.**

გარდაცვალებიდან 40 დღის შესრულების გამო, გადახდილ იქნება პანაშვიდი
კვირას, 25 იანვარს, ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე, Bagneux-ს სასაფლაოზე.

## იდეის კაცი

ყველა საზოგადო მოღვაწე იდეის კაცია, რაიმე იდეალს ემსახურება და მის განხორციელებისათვის მუშაობს. ნოე რამიშვილი ამათ რიცხვშია, ისიც შემკულია პოლიტიკურ მოღვაწეთა ამ საერთო თვისებებით.

მაგრამ ამავე დროს ნოე რამიშვილი შეიცავს ყველა ამ მოღვაწეთა შორის ერთ იშვიათ გამონაკლის, უჭირავს განსაკუთრებითი ადგილი და მით ის შორდება იდეისათვის მებრძოლთა ჩვეულებრივ ტიპს.

ჩვეულებრივ მოღვაწისათვის იდეია არის მისი ცხოვრების ერთი ნაწილი, მისი ფიქრის, აზრის და მოქმედების ერთი მხარე, დანარჩენ ნაწილს კი შეადგენს მისი სხვა მოთხოვნილებანი. პირადი სიამოვნება, დროს ტარება, საოჯახო და სამოყვრო ზრუნვა—ერთი სიტყვით მრავალი სხვადასხვა სახის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

ნოე რამიშვილისათვის იდეია იყო არა მისი ცხოვრების ერთი ნაწილი, არამედ მისი მთელი ცხოვრება, მთელი მისი არსება, მთელი მისი ფიქრი, აზრი და მოქმედება. მისთვის არ არსებობდა არავითარი სხვა გასართობი, სხვა საზრუნავი, სხვა სალაპარაკო და სამუშაო გარდა მისი იდეალისა, გარდა იმ საქმისა, რასაც ასე თავდადებულათ ემსახურებოდა. ის იყო იდეის კაცი მთლიანათ, სავსებით, თავიდან ფეხებამდე, ფეხებიდან თავამდე. ბუნებას ის ერთი მოხერხებული დაკვრით ერთეულათ გამოუკვეთია, ყველა მისი ნაწილებით ერთი-მეორესან შეხამებული, ყველა მისი ჰანგი ხმაშეწყობილათ აჟღერებული, არც ერთი ყალბი ხმა, არც ერთი ჩაკერებული ნაჭერი. მისი სული, გული და სხეული იყო შედუღებული, ამოსხმული, ერთ ცოცხალ ლითონათ ქცეული.

ამ ტიპის მუშაკი ჩემს ხანგრძლივ ცხოვრებაში არ შემხვედრია; ყოველ შემთხვევაში ქართველთა შორის ის იყო ერთათ-ერთი, ყველასაგან გამორჩეული, ცალკე მდგომი. მას ბევრი არ ეთანხმებოდა, ბევრს აჯავრებდა, მაგრამ ყველა მას პატივს სცემდა, ყველა მასზე იმედს ამყარებდა და როცა დიდი საქმე იყო გასაკეთებელი მისი მოწინააღმდეგენიც კი მისკენ იხედებოდა და მას უძახოდა. ვერავითარ გარემოებაში, რთულში თუ მარტივში, ნოე რამიშვილს გვერდს ვერ აუხვევდით, მისკენ უეჭველათ მიიხედავდით, მისი სახელი უეჭველათ თავში გაგიელვებდათ და მასზე დაფიქრდებოდით. მას ვიცნობდი 1903 წლიდან, როცა 22 წლის ახალგაზდა ბათუმის ს. დ. ორგანიზაციის დელეგატათ გამოცხადდა ამიერკავკასიის პირველ საოლქო ყრილობაზე, მაშინვე მიიპყრო ჩემი ყურადღება და მას შემდეგ მასან კავშირი არ შემიწყვეტია. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, მას რაიმე დავალება მიეღო და ის მას არ შეესრულებიოს, ქვას გახეთქდა და გააკეთებდა; მან არ იცოდა უკან დადგომა, დავალების მიუღებლობა. არასოდეს არ იყო საპატიო, სახვეწარი, მუდამ დაუზარებელი ამსრულებელი, შეუპოვრათ წინ მიმავალი.

იდეის მიერ ასე სავსებით შეპყრობილი ადამიანი ჩვეულებრივად არის სექტანტი, ვიწრო ჯგუფის მეთაური და არა დიდი პოლიტიკური პარტიის და ერის ხელმძღვანელი. ნოეს ნიშნობლივი თვისებაც სწორეთ იმაშია, რომ ის თავის თავში აერთებდა იდეით გატაცებას და ფართო მსოფლმხედველობას, მიზნის ერთგულებას და საშუალებებში მიხვევ-მოხვევას, პრინციპიალურ სიმტკიცეს და ურთიერთშორის დათმობას. ნოესში სექტანტური სრულიად არაფერი იყო. სექტანტი, არის ის პოლიტიკური თუ რელიგიური, ხედავს მხოლოდ თავის იდეიას, სრულიად არ ხედავს რეალობას, ცხოვრების სინამდვილეს, ძალთა განწყობილებას. ამიტომ მისი იდეია მისი ერთხელ და სამუდამოთ გაზეპირებული «მამაო ჩვენო»-ა, რომლის სათვალეთი გაყურებს ქვეყნიერებას და როცა ეს მისი «მამაო ჩვენო» ამ ქვეყნიერებას არ უდგება, წყრება არა მამაო ჩვენოზე, არამედ ქვეყნიერებაზე და განზე დგება. ნოე რამიშვილისათვის პირველ ყოვლისა არსებობდა რეალობა, ცხოვრების სინამდვილე და მას მუდამ უფარდებდა თავის იდეას, თავის პოლიტიკურ დროშას. ის არასოდეს არ ფიქრობდა, სექტანტივით, რომ ჭეშმარიტების მონოპოლია მისი საკუთრებაა, ხოლო ყველა დანარჩენნი ბრიყვებია. პირიქით მისთვის ჭეშმარიტება კოლექტიური საკუთრება, მრავალ პირთა და ორგანიზაციათა შემოქმედებაა. ამიტომ ის იყო უაღრესათ კოლეგიალური კაცი, ორგანიზაციის მიმყოლი, საერთო დადგენილების გამტარებელი. მე არ ვიცი არც ერთი მაგალითი, რომელიმე კრებულს, რომლის წევრი თვითონ იყო, ერთი გადაეწყვიტოს და მას მეორე გაეტარებიოს. ასეთი უდისციპლინობა მის პარტიულ ბუნებას პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა. მან განვლო დიდი პარტიული შკოლა, მიიღო დიდი პოლიტიკური აღზრდა.

ჩვენს პარტიაში მუდამ იყო ორგვარი მუშაკნი. ერთნი შეადგენდენ პარტიის ხერხემალს, მის ცენტრს, მის შუაგულს, სადაც გროვდებოდა საუკეთესო ორგანიზატორები და პრაქტიკოსები, რომელთა ზურგზე გადადიოდა მთელი მუშაობა; პარტიის ნამდვილი პატრონები, მისთვის სისხლის და ოფლის მღვრელნი, მისთვის ციხეში და ციმბირში მიმავალნი აი აქ ამ ცენტრში იყრიდენ თავს. მეორენი იყვენ პარტიის პერიფერიებზე, ცენტრიდან გაშორებით, სხვადასხვა მათთვის შესაფერ დავალებათა ამსრულებელნი და მუდამ ცენტრის მორჩილნი. არასოდეს არ ყოფილა მაგალითი, პერიფერიას ცენტრის ადგილის დაჭერა მოესურვებიოს, ასეთი პრეტენზია საქართველოს სინამდვილეში არასოდეს არ გამომჟღავნებულა. ნოე რამიშვილი მუდამ თავიდანვე საჭეთ ხელში იდგა სწორეთ ცენტრში და აბობოქრებულ პოლიტიკურ ტალღებში მარჯვეთ ეხმარებოდა სხვა მისებურ მესაჭეთ პარტიული გემის სამშვიდობოზე გაყვანას. ის ამ გემს ხშირათ მეთაურობდა, კაპიტანის როლს ასრულებდა. ის მუდამ იყო პარტიის მიერ საგანგებო ნდობით აღჭურვილი, როგორც იქ, საქართველოში, ისე აქ, ემიგრაციაში. პარტია მას არ ივიწყებდა, მას მუდამ დავალებებს აძლევდა. ჩვენ მიერ მიღებულ პარტიის ც. კ. წერილში (ათი ნოემბერით დათარიღებული) მას ასე ესალმებიან: «სალამი გმირს ნ. რამიშვილსო». ასე ჩაექსოვა ის ჩვენს პარტიას, ჩაჯდა მის სულში და გულში, გადაესკვნა მას ჭირში და ლხინში. მას აფასებდა საქართველო, აფასებდა ჩვენი პარტიის არწივები, პარტიის გმირები, ყოველ-დღე, ყოველ წუთში განსაცდელის მომლოდინნი, წამების, ხვრეტის და გადასახლების უშიშარი რაინდები. ეს საკმარისი ჯილდოა ნოესათვის. ის არასოდეს არ იყო სულით ემიგრანტი, საქართველოს რეალობას დაშორებული; მას და პარტიას შორის არასოდეს არ გაწყვეტილა შემაერთებელი ძაფები, არ შემცირებულა ერთი-მეორის გაგება, არ შესუსტებულა საერთო ენა და საერთო აზროვნება. მას მოხვდა ემიგრანტის ტყვია, მას არასოდეს არ მოხვედრია ემიგრანტის დაგლახება, ფუქსავატი ამაყობა, უსაქმო ყბედობა. ის დარჩა იმავე თვისებებით, იმავე ღირსება-ნაკლულევანებით აქ, ემიგრაციაში, როგორიც იყო სამშობლოში, სრულიად უცვლელი, წაუფორხილებელი.

ნოე რამიშვილის ნაკლულევანება იყო სრულიად ზერელე, გარეგანი ფორმის. ვინ არის უნაკლო, ვის შეუძლია ამ თვისებისაგან თავი გაინთავისუფლოს? კაცი ფასდება მთლიანათ, ღირსება-ნაკლულევანებით და თუ ღირსება სჭარბობს ნაკლს—ის პირველ რიგში დგება. მებრძოლ პარტიას რათ ეჭირვება უნაკლულო მოსეირნე, უსაქმო მორალისტი, უხერხემალო წმინდანი, სხვის ნაკლულევანებაზე მაღლა მყვირალი? მას ეჭირვება მებრძოლი, ერთგული, თავდადებული, მამაცი სალდათი, გონიერი წინამძღოლი. ნოეს არც ერთი ეს დადებითი თვისება არ აკლდა. ამიტომ უყვარდა ის პარტიას საქართველოში, ამიტომ ენდობოდა მას და ყველა საპასუხისმგებლო პოსტზე აყენებდა. ის არ იყო თავისთავში შეყვარებული, არ ითხოვდა უეჭველ პატივისცემას, ქებათა-ქებას, გუნდრუკის კმევას. ასეთი მოღვაწე მას დიდათ ეჯავრებოდა. ასეთ პიროვნებაზე არავითარ იმედს არ ამყარებდა. ის წინა რიგებში დგებოდა არა თვითონ, არამედ მას ძალათ გამოათრევდენ სხვები და მოვალეობით აღჭურავდენ. თავის მოქმედებაში, თავის მოსაზრებაში არასოდეს არ გამოდიოდა რაიმე მისი იდეის გარეშე მდგომი მოტივებისაგან. მის წინაშე არ სჭრიდა არც მოყვრობა, არც ნათესაობა, არც მეგობრობა, არავითარი კავშირი და ინტერესი, გარდა ერთისა—რა უდგება მის იდეიას, რა აძლიერებს და ეხმარება ის საზოგადო საქმეს, რასაც ის ემსახურება. საქმის ინტერესი—აი ერთათ-ერთი მისი მამოძრავებელი, მისი მასულდგმულებელი, მისი ერთათ-ერთი საზომი და სასწორი.

ნოე რამიშვილი იდეის კაცია ამ სიტყვის სრული, უმაღლესი მნიშვნელობით. ის მუდამ დარჩება საზოგადო მოღვაწეობის უძლიერეს ტიპათ, მისაბაძ მაგალითათ, წარმტაც იდეალათ. მისი სხივი დიდხანს ინათებს ჩვენს პარტიაში, ჩვენს საზოგადოებაში; მისი სული დიდხანს შთაბერავს სასოწარკვეთილთ იმედს, მოღალულს ენერგიას, დაძაბუნებულს სასოებას. ის არის ჩვენ შორის, ის მუდამ იქნება ჩვენთან, მებრძოლ, მოსაქმე იდეის ხალხთან. ის მოწყდა სიცოცხლის ჰორიზონტს, მაგრამ ის ჩვენთვის არ მომკვდარა, ის რჩება უკვდავათ, სამარადისოთ...

ნ. ჟორდანია.

## ვისი საქმეა

ვისი საქმეა—განა ეს კიდევ საკითხავია, ვინმეს კიდევ ეჭვი შედის ამაში? ვინ გვებრძვის ჩვენ ეს ათი წელია გააფთრებით, ვინ არის ჩვენი პირსისხლიანი მტერი, ვინ დახოცა ჩვენი საუკეთესო ამხანაგები, საუკეთესო ქართველი მოღვაწენი, ვინ მორწყო ჩვენი ქვეყანა ქართველთა სისხლით, ვინ გაანადგურა ერი და მისი საუნჯე, ვინ მოსტაცა მას თავისუფლება, ვინ ჩაყარა ის ბორკილებში? ყველა ეს და სხვა უთვალავი ბოროტება ჩაიდინა მოსკოვის ბარბაროსებმა, რომლის უკანასკნელი სისხლიანი აქტია ნოე რამიშვილის თავიდან მოშორება.

საქართველოს ჯალათები კარგა ხანია ხედავენ, რომ მათი მესაფლავე ქართველი სოც. დემოკრატია ვერ მოსპო ვერც ფიზიკურათ, ვერც იდეიურათ. მაგრამ ისტორიული დაბრმავებით დალახვრულნი ვერ ხედავენ ამის მთავარ მიზეზს, ვერ ამჩნევენ რომ ეს მიზეზია არსებობა ქართველი ერის, ამ ერის გადაწყვეტილი ნებისყოფის აღსდგეს და იყოს თავისუფალი. ქართველი მენშევიზმი აი ამ გარდაუვალი სტიქიის იარაღი და მატარებელია და სანამ იქნება ეს ერი, მანამდე იქნება ეს მისი ზრახვების მესაიდუმლე პარტია.

ჩეკისტები ამ დიდ საკითხს მიუდგენ ჩეკისტურათ და იპოვეს თავისთვის ადვილი გამოსავალი. მათი აზრით ქართველი მენშევიზმის ცხოველმყოფელობა აიხსნება საზღვარ-გარეთ არსებული ნაციონალური და პარტიული ორგანიზაციით, «ჟორდანია-რამიშვილის არსებობით», როგორც ამას ეს ვაჟბატონები არა ერთხელ სწერდენ თავის გამოცემებში. აქედან დასკვნა—მოკვეთეთ ეს თავი და დაიშლება მთელი მენშევიზმი საქართველოში! აი წყალწაღებულთა უკანასკნელი ხელმოსაჭიდი ხავსი.

ნოე რამიშვილი ამ ჯოჯოხეთური გეგმის პირველი მსხვერპლია. როგორ მოხდა რომ ამ ყაჩაღებმა ამ გეგმის შემსრულებელი იპოვეს ემიგრანტთა შორის, შექმნეს საამისო ატმოსფერა, ჩაითრიეს ამაში ბანდიტი ჭანუყვაძე და გააბედვიეს იარაღის აღება? აი ამის ახსნა უნდა ვეძიოთ ქართველ აჭრელებულ ემიგრაციაში; ვინ გინდა რომ აქ ახლა ემიგრანტი არ იყოს; ვისაც სამშობლოში თეთრი პური მოენატრება, ჩეკის შეეშინება ან და ბოლშევიკური «სამოთხე» მოსწყინდება, იქ ბრძოლის მაგიერ, აქეთ გამორბის, დიდ პოლიტიკურ მოღვაწეთ გვევლინება და ემიგრანტის წმინდა სახელს ეწებება. საეჭვო პირებით აივსო ემიგრაცია, ის ჭაობათ ხდება, ოდესმე წმინდა წყალი იმღვრევა და ჩეკისტებს შიგ თავის აგენტების დაჭერა უადვილდება. ემიგრაციის გაწმენდა, მისი საეჭვო, დაუდეგარი, უიდეიო ელემენტების თავიდან მოშორება, მართლა იდეიურ-პოლიტიკურ მოღვაწეთა რიგების შემჭიდროება და ამ გზით ქართველი პოლიტიკური ემიგრაციის პატიოსნების და წმინდა სახელის ხსნა—დღის წეს-რიგში დგას. ემიგრაციამ ყველა პარტიისა და მიდრეკილებისა აი ამ თავის დაცვის საკითხს უნდა მიაპყროს თავისი ყურადღება, თუ მას არ გადაუწყვეტია საქართველოს სინამდვილიდან განდგომა და უცხოეთში სულიან-ხორციანა დარღვევა.

◆

## ნოე რამიშვილი

კეთილო ძმაო ნოე!

მეტად მწარე ხვედრი მხვდა წილად. მიმდინარე წლის მიწურულმა ცუდი სამსახური გამიწია. განა ვიფიქრებდი, შენს ულვთოდ დაღუპვას მე მოვესწრებოდი? წარმოვიდგენდი, რომ ბარბაროსთაგან გათავისუფლებულ საქართველოში ვერ გნახავდი და ტვირთ მძიმეთა და მაშვრალთა დაცვისათვის შენს მარად იმედიან ხმას ვერ გავიგონებდი? დიახ, ამას ვერ წარმოვიდგენდი, მარა დღეს სინამდვილე მამხელს და მეუბნება: ბოროტებამ ფრთა გაშალა, რჩეული მსხვერპლი ნიშანში ამოიღო და ჩვენი სალი კლდე ნოე რამიშვილი ქვეშ მოიტანა...

შენ, ძმაო ნოე, განხორციელებავ ქართველი ერის ტანჯვისა და მისი ვაების გამომხატველო, იტვირთე მძიმე საქმე და შენს მეგობრებთან ერთად მის განხორციელებას შეუდრეკლად ივლტოდი. დიახ, ეს მეტისმეტი მძიმე ჯვარი, ფრიად დახლართულ გზებზე ხალისიანათ, უანგაროთ და უმწიკვლოდ მიგქონდა სამშობლოს გასათავისუფლებლად, მარა, აჰა, ამ ეკლიან გზაზე ბოროტება გადაგეღობა და საუკუნოდ მოგაცილა კეთილ საქმეს, მარა არა სასოწარკვეთილი, არამედ გმირი და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე მებრძოლი.

ჩვენ დავრჩით საშიშარ ასპარეზზე შენგან შენდა უნებურად დატოვებული, ჩვენ შევმცირდით, მარა შენი მოუსყიდველი ხასიათი, მტკიცე ნება, კეთილშობილი აზრები გზას გაგვინათებს, გაგვამხნევებს და ბრძოლას შეგვიმსუბუქებს.

ახლა კი დაუვიწყარო მეგობარო მშვიდობით, კეთილო ნოე მშვიდობით...

ზ. ჩიჩუა.

◆

## მეგობრის ხსოვნას

პირველათ ნოე რამიშვილს ბათომში შევხვდი 1902 წელს. ის იმ დროს ბათომის სოც. დემოკრატიულ კომიტეტის წევრი და მისი ერთი ხელმძღვანელთაგანი იყო. ჯერ კიდევ ახალგაზდა, სავსე ენტუზიაზმით და ენერგიით, ნათელი გონებით, გამჭრიახი, რიხიანი, გაბედული, დიდი ინიციატივის მქონე, დაუზარებელი და დაუღალავი მუშაკი, ის მის იქაურ ამხანაგებს შორის უთუოთ ყველაზე უფრო მაღლა იდგა და გამოჩენილი იყო.

ბათუმში ნოეს ბინა იყო ცენტრი, სადაც ხდებოდა კომიტეტის არალეგალური კრებები და სადაც სათათბიროთ მასთან მიდიოდენ მისი ახლო მეგობრები. ბათომის მუშათა, ნოქართა და ახალგაზდათა შორის ნოე აწყობდა მრავალ წრეებს და მათ ორგანიზაციულათ ერთი მეორეს უკავშირებდა.

1903 წელში ნოე გურიის გლეხთა შორის მომუშავე ამხანაგებთან აბამს კავშირს და მათ ხელმძღვანელობს. მისი სამოქმედო ასპარეზი ფართოვდება, მისი ენერგია და მუშაობის უნარი დაუშრეტელი ხდება. ნოეს გავლენა დღითი დღე იზრდება არა თუ ბათომის მუშებს შორის, არამედ ის თანდათან საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში არსებულ ორგანიზაციების საერთო ყურადღებას იპყრობს და უკვე საუკეთესო ორგანიზატორათ ითვლება.

1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ, როგორც რუსეთში, ისე ჩვენშიდაც, ყოველგან საშინელი რეაქცია მეფდება. ბრძოლისაგან მოღლილი და გულგატეხილი ბევრი ამხანაგი ბრძოლის ველიდგან გარბის და პარტიას სცილდება. ორგანიზაციები სუსტდება და ზოგი მათგანი ინგრევა. არალეგალურათ მცხოვრები ნოე იწყებს გაპნეულ ძალების მოკრეფას, დანგრეულ ორგანიზაციების აღდგენას, სცემს არალეგალურ ფურცლებს, ფაქტიურათ რედაქტორობს პარტიის ლეგალურ გამოცემებს. ნოე მასთან მომუშავე სხვა ამხანაგებთან ერთათ სასიცოცხლო ენერგიას ბერავს ჩვენი პარტიის ძარღვებში. ის აღვიძებს მიძინებულთ და ათავისუფლებს მათ დაღლილობის და უიმედობის კლანჭებიდგან.

ნოეს ხელმძღვანელობით არა ერთხელ ჩატარებულა არჩევნები სახელმწიფო დუმაში და ამ ბრძოლებიდგან ჩვენი პარტია მას ყოველთვის გამარჯვებული გამოუყვანია.

მაგონდება 1914 წელი. ნოე თფილისშია. ცხოვრობს არალეგალურათ. ერთ დღეს მივედი მასთან. ჩამიყვანეს სადღაც ქვევით, ნოტიო, ნახევრათ ბნელ სარდაფში. ის იქ ჩვენი ლეგალური გაზეთის ნომერს ადგენდა. მეტათ სუსტათ გამოიყურებოდა. ექიმს მისთვის უკანასკნელ ორი თვით დასვენება და იმ საშინელი სარედაქციო სარდაფის გამოცვლა ერჩია. ნოე იმ სარდაფში კიდევ ერთი წლის განმავლობაში მუშაობდა. თავდადებული, არავითარ მუშაობას არ იზარებდა და მის პარტიას ის ყოველთვის ასე თავგამოდებით ემსახურებოდა.

ჩვენს პარტიაში მე არ ვიცი მეორე პიროვნება, რომელსაც ისეთი უფლებით შესძლებოდა ეთქვა ჩვენი პარტიის შესახებ, რომ ეს ჩემი პარტიააო, როგორც ამის თქმა ნოე რამიშვილს შეეძლო.

ჩვენი პარტიის საუკეთესო ორგანიზატორებათ ითვლებოდენ სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ხომერიკი, ბენია ჩხიკვიშვილი, მაგრამ ამათივე მოწმობით და თქმით ნოე რამიშვილი იყო ყველაზე უფრო გამოცდილი და დიდი ორგანიზატორი. რთულ და ძნელ ორგანიზაციულ კითხვებში ისინი რჩევისათვის ყოველთვის ნოეს მიმართავდენ.

მთელი თავისი სიცოცხლე ნოემ ბრძოლაში და მუშაობაში გაატარა.

ბრძოლაში ის იყო შეუპოვარი, ულმობელი. მტრისადმი მისი მტრობა უსაზღვრო იყო, აქ მან არ იცოდა კომპრომისი, ის მთელი თავისი არსებით იბრძოდა, ბრძოლა მისი სტიქია იყო.

მაგრამ ამავე დროს ნოე მეტათ ნაზი ბუნების ადამიანი იყო.

ჩემ ცხოვრებაში ბევრი ოჯახი მინახავს, ხშირათ დავკვირვებივარ ცოლქმარს შორის კარგ განწყობილებას, მაგრამ ნოე რამიშვილისთანა ნაზ და გრძნობიერ ქმარს და მამას იშვიათათ შევხვედრივარ.

ნოეს ვიცნობდი და მასთან მეგობრული კავშირი მქონდა 28 წლის განმავლობაში. მასთან ერთათ მიმუშავნია პარტიაში, მთავრობაში და მთელ ამ ხნის განმავლობაში მისგან არ მახსოვს არც ერთი საწყენი, არც ერთი უსიამოვნება. როცა მას ენდობოდი, როცა ის გრძნობდა შენ მეგობრობას, ის სავსებით და განუსაზღვრელათ მოგენდობოდა. მეგობართან ის ყოველთვის თავდაბალი, მორცხვი და მორიდებული იყო.

ბრძოლაში კომპრომისის და დათმობის წინააღმდეგი, ნოე დიდი კომპრომისის და დათმობის ადამიანი იყო კოლეგიურ მუშაობაში. ვისაც რაიმე კოლეგიაში ნოესთან საქმე კი ქონია, ის სიამოვნებით მოიგონებს მასთან თავის მუშაობას.

ნოეს წარმოუდგენელი შრომის უნარი ქონდა.

გარეგნული შეხედულობით ფიზიკურათ ხმელი, გამხდარი, ფერმიხდილი, ის კაცს სუსტი აგებულობის ადამიანათ მოეჩვენებოდა. სინამდვილეში კი ის იყო მაგარი არა მხოლოთ სულით, არამედ მაგარი იყო თავის ჯანმრთელობითაც.

მაგონდება 1917 წელი, ეს საერთო ანარქიის ხანა.

ნახევარი მილიონი გაბოლშევიკებული რუსის ჯარი კავკასიის ფრონტიდგან შინ წასასვლელათ დაიძრა. ქართველი ბოლშევიკები ამ ჯარებს გზაში ხვდებოდენ, სპირტეულობით ათრობდენ და თფილისის ასაოხრებლათ ეპატიჟებოდენ. ნოეს იმ დროს არა ერთი და ორი უძინარი ღამეები გაუტარებია თფილისის სასახლის დარბაზში, საიდანაც ის სათანადო განკარგულებებს იძლეოდა და თფილისს გალოთებულ რუსის ჯარისკაცებისაგან იცავდა. ნოე დღედაღამეში 18 საათს მუშაობდა. უმეტეს შემთხვევაში ის შინ ღამის ორ საათზე ბრუნდებოდა. დილის 8 საათზე კი ყოველთვის ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმის კრებაზე ყველაზე ადრე მოდიოდა. ყველა ჩვენ ვიღლებოდით და ვიქანცებოდით. მაგრამ მე არ მახსოვს არც ერთი შემთხვევა, რომ ნოესაგან მისი ფიზიკური დაღლილობის შესახებ რამე გამეგონოს, ან მისი ენერგიის ოდნადავაც შესუსტება შემემჩნიოს.

იტყვიან, ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სული სუფევსო. ნოეს სულიერი სიმაგრე და ჯანმრთელობა კი, წინააღმდეგ, მის სხეულს ამაგრებდა და აჯანსაღებდა.

საქართველოს დამოუკიდებლობის წლებში ნოე ჩვენი ერის თავისუფლების უდიდესი მოტრფიალე და დამცველია. როგორც ის მთელი თავისი არსებით სოც. დემოკრატიის ზრდის და ძლიერების საქმეს ემსახურებოდა, ასეთივე ენტუზიაზმით ეხლა მან საქართველოს თავისუფლების დამკვიდრება და განმტკიცება დაისახა მიზნათ.

პატარა საქართველომ ვერ გაუძლო დიდ რუსეთს და ის უთანასწორო ბრძოლაში დაეცა. მაგრამ ბრძოლა დამმონებელ და დამონებულს შორის კიდევ გრძელდება.

საქართველოს თავისუფლების მტრების უდიდესი მტერი იყო ნოე რამიშვილი. ამას კარგათ გრძნობდენ საქართველოს ულირსნი შვილნი, მოღალატე ქართველი კომუნისტები. მე არ მეგულება მეორე პიროვნება, რომელიც ბოლშევიკებს ისე სძულდეთ, როგორც ნოე რამიშვილი. ის იყო მათთვის მართლა საშიში ძალა: ნოე მუდამ თავის ქვეყნის და პარტიის მოსიყვარულე და ამ სიყვარულის მუდამ სხვებში მთესელი, მუდამ მხნე და მუდამ სხვების გამამხნევებელი, მუდამ მომუშავე და მუდამ სხვების ამმუშავებელი, მუდამ მებრძოლი და მუდამ სხვების ბრძოლის ველზე გამომყვანი და ხელმძღვანელი, მუდამ დაუღალავი, მუდამ ბეჯითი.

რა არის ამის შემდეგ გასაკვირი, თუ გაიძვერა ბოლშევიკებს ასე არ უყვარდათ ჩვენი ერის შეურიგებელი სულისკვეთების ასე მკაფიოთ გამომხატველი—ნოე რამიშვილი?

მაგრამ რამდენათ ნოე არ უყვარდათ საქართველოს თავისუფლების მტრებს, იმდენათ ღრმა იყო და იქნება მისდამი ქართველი ერის სიყვარული.

ნოე საქართველოს განთავისუფლებას ველარ მოესწრო. მტერმა ლაჩრულათ ის ჩვენი მებრძოლ რიგებიდგან გამოიყვანა. მაგრამ ამით ის ჩვენ ვერ დაგვაშინებს.

ამ დიდი მსხვერპლის შემდეგ მტერს ჩვენ უპასუხებთ მთელი ჩვენი ძალღონის და უნარის მოკრეფით, ჩვენი ერის და პარტიის ყველა პოტენციალური სასიცოცხლო ძალების გაშლით და მათ შესაფერათ გამოყენებით. ჩვენ ვაწარმოებთ ბრძოლას მედგარს, ბრძოლას ნოესებურს. ეს იქნება ნოეს საუკეთესო ხსოვნაც.

ა. გვარჯალაძე.

◆

## ამხ. პეტრე

ბევრმა არც კი იცის, რომ «ამხ. პეტრე» ნოე რამიშვილის ფსევდონიმია. ამ სახელით მუშაობდა ახალგაზდა ამხ. ნოე—პირველათ ბათუმის მუშებში, მერმე—დონის როსტოვში, შემდეგ—თფილისში და ბოლოს—რუსეთის სოც. დემ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტში.

«ამხ. პეტრე» ცნობილი რევოლიუციონერი იყო. ამ სახელის გაგონება მტერს აღონებდა და მოყვარეს ახარებდა.

ჟანდარმერიას «ამხ. პეტრე» წარმოდგენილი ყავდა რაღაც გოლიათურ ძალათ, საშინელ რევოლიუციონერათ, რომელსაც მოულოდნელათ შეუძლია იერიში მოიტანოს და გაგანადგუროს. ამიტომ იგი არასოდეს მხედველობიდან არ უნდა გაუშვა, მუდამ თვალყური უნდა ადევნო და სდევნო.

ასეთნაირათ არის დასურათხატებული «ამხ. პეტრე» რუსეთის ჟანდარმერიის არქივებში. ასეთათ არის აწერილი თფილისის პროკურორის მიერ თფილისის რევოლიუციონერ მუშებისადმი წარდგენილ საბრალდებლო ოქმში, რომელთაც 1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგ ხშირათ ასამართლებდენ და ერთერთ მთავარ ბრალდებათ «ამხ. პეტრე»-სთან კავშირს უყენებდენ.

მტერი არ ცდებოდა, ამხ. პეტრეს სწორად აფასებდა. ის მისთვის მართლა საშიში რევოლუციონერი იყო.

და ამისათვის უყვარდა ამხ. პეტრე რევოლიუციონერებს, მის ამხანაგებს. იგი მათი სარდალი, მათი იმედი იყო. 1905 წელს ყოველ კუთხიდან გზავნიდენ ორგანიზაციები თფილისში წარმომადგენლებს და აბარებდენ: ჩადით, სილია და პეტრე ნახეთ და მათგან მიიღეთ იარაღი და დირექტივებიო.

სილია და პეტრეც გარკვეულ, ჩამოყალიბებულ დირექტივებს იძლეოდენ.

წარმომადგენლები კმაყოფილი ბრუნდებოდენ.

კავკასიელი ამხანაგების მუშაობით კმაყოფილი იყვენ არა მარტო ადგილობრივი ორგანიზაციები და მუშები, არამედ ისეთი გამოჩენილი, საერთაშორისო მასშტაბის სოციალისტები, როგორც განსვენებულნი გიორგი პლეხანოვი და პავლე აქსელროდი.

1907 წ. სოც. დემ. პარტიის ლონდონის ყრილობაზე გ. პლეხანოვმა ლენინს თავმომწონეთ უთხრა: ჩემ მაგიერ პასუხს ჩემი ქართველი მოწაფეები გაგცემენო.

ამით პლეხანოვმა ლენინს მტკივან ადგილზე უკბინა; მან კარგათ იცოდა, რომ ლენინი ასეთივე საბუთით ვერ უპასუხებდა, რადგან მას მაშინ არ გააჩნდა არც ერთი საამაყო ქართველი მოწაფე.

პლეხანოვს კი სახეში ყავდა—ირაკლი წერეთელი, არჩილ ჯაფარიძე, ნოე რამიშვილი და გრიგოლ ლორთქიფანიძე.

პლეხანოვი ნოე ჟორდანიას ედავებოდა—ესენი მარტო შენი მოწაფეები კი არ არიან, არამედ ჩემიცო.

შემდეგ, როცა რუსეთის სოც. დემ. პარტია დაიქსაქსა, დაავადდა და მასში ლიკვიდატორები და სხვა ჯგუფები გაჩნდენ, პლეხანოვმა იმედიანათ ქართველ მოწაფეებისკენ მოიხედა და ავტორიტეტულათ სთქვა: «ვნახოთ, ამხ. პეტრე რას იტყვისო».

დიახ, ამხანაგ პეტრემ თავის დროზე სიტყვაც იცოდა და საქმეც.

1910 წლის შემდეგ ამხ. ნოე ამ ფსევდონიმს გაშორდა, რადგან ამ სახელწოდებასთან ბევრი «დახაშაული» იყო დაკავშირებული, რომლითაც მტერი მის ბორკილებში ჩაჭედვას ცდილობდა.

მიუხედავათ ამისა, ის მუდამ პეტრე დარჩა.

მე არ ვიცი, ეს ფსევდონიმი ამხ. ნოემ თვითონ დაირქვა, თუ სხვამ დაარქვა, მაგრამ როგორც არ უნდა იყოს, იგი მისთვის სიმბოლიური იყო.

ამხ. ნოე განსახიერება იყო, როგორც ელინურ, ისე—ლათინურ პეტრესი.

იგი ელინურ პეტრესავით ქვასავით მაგარი და ცივი იყო. ბრძოლაში სანტიმენტალიზმი მას არ სწამდა.

მიზანს ვერ მიაღწევ ისე, თუ მისთვის არ იბრძვი და თუ ამ ბრძოლისთვის ენერგია არ შეგწევს და შესაფერისი შნო და ლაზათი არ გაქვსო.

ასე მსჯელობდა პეტრე-რამიშვილი. ამიტომ იგი თვალსაჩინო და ძლიერი იყო ყოველთვის.

ასეთი იყო ამხ. ნოე, როცა მან, ახალგაზდამ, რუსეთის თვითპყრობელობასთან ბრძოლა გადასწყვიტა. ასეთი დარჩა იგი მაშინაც, როცა, მან, მომწიფებულმა პოლიტიკურმა მოღვაწე რამიშვილმა, საქართველოს დამოუკიდებლობის დაცვა დაისახა მიზნათ.

ეს უკანასკნელი გადაწყვეტილება მან ჩემი თვალისწინ მიიღო და ისე სწრაფათ და ისე მტკიცეთ, როგორც მხოლოდ პეტრეთ სჩვევია.

ამხ. ნოეს ლათინთა პეტრესავით სწამდა რომ მის მოწოდებას შეადგენს პარტიის «გასაღები» მას ქონდეს ხელში. იგი პეტრე მოციქულივით მუდამ «მოადგილე» იყო და კარგი დარაჯივით პარტიის კარებში იდგა.

როცა არ უნდა მისულიყავით პარტიაში, პირველათ იგი შეგხვდებოდათ. მას ნახავდით და თუ არ ნახავდით, ისე გადაჭრილ პასუხს ვერ მიიღებდით.

მას არ დაუტოვებია «მოადგილეობა» არც მაშინ, როცა მინისტრი იყო, ძალა-უფლება ხელში ქონდა და არც მაშინ—როცა ემიგრანტი გახდა.

ყველა ამის გამო ამხ. ნოე რამიშვილის როლი ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და პარტიაში დიდი იყო. განსაკუთრებით დიდი გახდა იგი დამოუკიდებლობის ხანაში, რომელსაც ნოე თავგამოდებით, პეტრესებურათ იცავდა. საქართველოს დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მჭიდროთ არის რამიშვილის პიროვნებასთან დაკავშირებული.

სოციალდემოკრატიულ პარტიაში კი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე ხომერიკი და ნოე რამიშვილი, პარტიის ხერხემალს წარმოადგენდენ.

დღეს არც ერთი ისინი არა გვყავს და აი რა არის სავალალო!

სამივე ეს ჩვენი სიამაყენი ტრაღიკულათ დაიღუპენ. ეს მძიმე დანაკარგია. მაგრამ როცა წარმოიდგენ, რომ ისინი შეეწირენ სამშობლოს თავისუფლების და დემოკრატიის დაცვის საქმეს, თუმცა მწუხარება გიმსუბუქდება, მაგრამ ბოლმა გულიდან მაინც არ გშორდება და ამბობ:

დავმშვიდდები მაშინ, როცა მათ დაწყებულ საქმეს დავაგვირგვინებთ.

ამ აზრით უნდა აღიჭურვოს ყოველი ჩვენი ამხანაგი, რომელსაც პარტია უყვარს, მისი მომავალი სწამს, მის იდეიას ემსახურება.

ამ აზრით უნდა აღიჭურვოს ყოველი ქართველი, რომელსაც სამშობლო უყვარს და მისი მომავალი სწამს.

და როდესაც ამ აზრით, ამხ. პეტრესავით, მტკიცეთ გავიმსჭვალებით, მაშინ არც დასახული მიზნის მიღწევა იქნება ძნელი და ჭირსაც უფრო ადვილათ გავუძლებთ.

მებრძოლთ არ სტირიან,
მებრძოლით მხოლოდ ამაყობენ!
ამხ. რამიშვილი ასეთი იყო.

გაჟი.

ჩეხია, 1930 წ. 12 დეკ.

◆

## რისთვის მოგვიკლეს?

მტერმა მიზანი სწორათ აილო: უგუნური ხელით გასროლილი ტყვია მიმართა იქ, სადაც უფრო მტკივნეულათ დაიჭრებოდა ის საქმე, ის ბრძოლა, რომლის სული ნ. რამიშვილი იყო.

ნ. რამიშვილი! ეს სახელი პირს ეკრა ყველას, მტერსა და მოყვარეს: ერთნი მას იმედით შეყუროდენ, მასში საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის მედროშეს ხედავდენ, მის ენერგიას, მის თავდადებას დიდათ აფასებდენ და ამიტომ მის გარშემო ირაზმებოდენ. მეორენი კი—ჩვენი ქვეყნის დამპყრობნი და ორგულნი, ყველა ის ვინც ხელი შეუწყო ჩვენი ერის ტანჯვასა და ჩაგვრას, მისი სახელის ტალახათ სისტემატიურათ შხამს ანთხევდენ.

მასში სამართლიანათ ხედავდენ უდრეკ მოწინააღმდეგეს, შეუწყვეტელი ბრძოლის მებაირახტრეს; ამიტომ მისი ეშინოდათ და მისი ბრძოლის ველიდან გაშორება—აი მიზანი, რომელიც მუდამ მათი მოფიქრების და ცდის საგანი იყო.

მტრის ასეთი ზრახვა გასაგებიც არის.

ნ. რამიშვილის სული და გონება საქართველოს უკანასკნელი ათეული წლის ტრაღიკული მსვლელობის არსს გადაება:

ის საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გამოცხადების ერთი მთავარი ადეპტი იყო; ამიტომ, როცა დროებით პარლამენტმა პირველი მთავრობა აირჩია, მისი თავმჯდომარეობა და საქართველოს პოლიტიკის ხელმძღვანელობა მას ჩააბარა და მით აღნიშნა და დაამოწმა ის ამაგი, რომელიც ნოემ საქართველოს აღდგენის საქმეს დასდო.

რუსეთმა დაგვიპყრო... ბრძოლა აღორძინებისათვის ხელახლა დაიწყო.

ნოე კიდევ მეტი მხნეობით, მეტი თავდადებით პირველ რიგში ჩადგა.

ნოეს ხასიათი—მტკიცე და გაუტეხელი,
აზრი და გრძნობა—ნათელი და გარკვეული,
მთელი მისი არსება—მომქმედი და მოძრავი

ქმნიდენ იმ ღირსებას, რომელიც მას ბუნებრივათ წინ აყენებდა და მებრძოლ საქართველოს ერთ მთავარ შეფათ ხდიდა.

ნოე ბრძოლაში აღიზარდა და ბრძოლა, მოგერება, შეტევა მისი სტიქია იყო. არ ყოფილა წუთი, რომ მისი გული წუხილს მოეცოს, მისი მკლავი თრთოლას აეტანოს, მისი იმედი დროსა და ჟამს გაეტეხოს.

მისი მიზანი გარკვეული იყო: თავისუფალი საქართველო—მისი გზა და საშვალება: ბრძოლა გაბედული, მუდმივი!

აქ მან არ იცოდა რყევა, ყოყმანი, ამიტომ ის სხვისგანაც ვერ ითმენდა გაურკვევლობას, გადახრას. აქ, თუ გნებავთ, ის ჭარბათ იჭვიანი იყო.

ნოე მებრძოლი რწმენით სავსე იყო: მას სწამდა, რომ მომავალი მის იმედს გაამართლებს, მის მიზანს აღსრულებას უბოძებს.

და მტერმაც ეს ჩვენი ბრძოლის სულის ჩამდგმელი, კლდე-ადამიანი მიზანში ამოიღო და შესაფერი აღმსრულებელიც მონახა.

ნოე მოგვიკლეს, საქართველოს ბრძოლის საქმეს მძიმე ჭრილობა მიაყენეს.

გამართლდება მტრის ზრახვა?

არ ვფიქრობთ, სოც. დემოკრატია გზებს გამონახავს, რიგებს შეამჭიდროებს, ბრძოლას განაგრძობს.

ნოეს სახელი საქართველოსათვის წამებულთა მარტიროლოგში ჩაირიცხება, ხოლო მის ცხედარს მშობელი მიწა, ადრე თუ გვიან, გულში ჩაიკრავს.

გ. ქავთარაძე.

◆

## ნოე რამიშვილს

ვერაგმა მტერმა სიცოცხლე გამოსტაცა ჩვენი პარტიის უუდიდეს ხელმძღვანელს და დაბორკილ საქართველოის თავისუფლებისათვის უუდიდეს მებრძოლს.

30 წლის პარტიული და ეროვნული მისი უანგარო მოღვაწეობა, განუწყვეტელი და თავგანწირული მისი ძახილი.—წინ, მტრის წინააღმდეგ დემოკრატიულ საქართველოს აღდგენისათვის!

— წინ პარტიისა და დემოკრატიის გამარჯვებისკენ—ერისა და სოციალიზმისთვის!.. აი მარადის იმედიანი და ფრთებ შესხმული მისი სიტყვა, მისი საქმენი!..

სიტყვა და საქმე, ფოლადური ენერგია, სიტყვა სწორი, პირდაპირი, აშკარა და დაუფარავი; უშიშარი—გაუტეხელი რევოლიუციონერი დამპყრობელ რეაქციის წინააღმდეგ, დაუნდობელი ყოველგვარ უსაქმო, მოლაყბე, თაღლით-მოქანავე, მოღალატეთა წინააღმდეგ.

და ეს უუდიდესი მებრძოლი, რევოლიუციონერი ჩვენი დროისა, მოგვტაცა მტერმა!

მაგრამ ლაჩრული ტყვიით განგმირული გული ნოესი მაინც სცემს, ჩვეულებრივი თავგანწირვით და გვიწოდებს: ისევ წინ! ისევ წინ!..

და ჩვენც მზათ ვართ...

ვერავითარი მტრის და მოღალატის ბინძური საქმენი ჩვენს იდეას, ჩვენს საქმეს ვერ შეარყევს!.. გვწამს... დაჰკრავს საათი... და საქართველოს სოც.-დემოკრატია შეასრულებს უუდიდეს თავის ისტორიულ მოწოდებას.

. . . საქართველოს დიდ სამრეკლოზე გამარჯვების ზარი დაიგუგუნებს!

აღსდგება ქართველი ერი და მასთან ერთად ამხანაგი ნოეც, ვინაც ჩვენი ერის და პარტიის გულში ძვირფასი ძეგლი უკვე დაიდგა!..

ბ. გელა-გელაზანია.

ბერლინი.

◆

## ნოე ბესარიონის ძე რამიშვილი [*]

დაიბადა 1881 წ. 5 აპრილს სოფ. სურებში (გურია) ღარიბი დედ მამისაგან. ექვსი წლისა 1887 წ. ის მიაბარეს სურების სკოლაში. მისი მასწავლებელი იყო ცნობილი მოღვაწე ისიდორე ივანეს ძე რამიშვილი.

1890 წ. მიიღეს ოზურგეთის სასულიერო სასწავლებლის I კლასში, რომელიც 1894 წ. დაამთავრა და იმავე წელს ქუთაისის სასულიერო სემინარიაში შევიდა.

1900 წ. მან დაამთავრა სემინარია და მიუხედავათ ნივთიერი ხელმოკლეობისა გაემგზავრა დორპატის (იურიევის) უნივერსიტეტში.

1901 წ. 3 მარტს იქ სტუდენტთა არეულობა დაიწყო. მოძრაობაში აქტიური მონაწილეობისათვის ის დაითხოვეს. მეორე წელს თებერვალში უკან მიიღეს, მარა აქ ახალი მოძრაობა გაჩაღდა, რომელშიაც ის აქტიურ მონაწილეობას იღებდა, რის გამო სამუდამოთ გარიცხეს უნივერსიტეტიდგან.

1902 წლიდან ის აქტიურ მონაწილეობას იღებს სოციალდემოკრატიულ პარტიაში. ჯერ კიდევ სემინარიაში ყოფნისას ის მუდმივი მკითხველი იყო განახლებული «კვალისა» და ახალთაობის აზრებს იზიარებდა. 1901 წლიდან ის აშკარად მიეკედლა სოციალდემოკრატიას.

1903 წ. რამოდენიმე ამხანაგთან ერთათ მან შეადგინა გურიის სოფლის მუშათა სოციალდემოკრატიული კომიტეტი. 1904 წელს ის ბათუმიდან დევნილი თფილისში გადავიდა და აქ არალეგალურათ მოღვაწეობდა. აქ 2 ოქტომბერს ის დაატუსაღეს და ორი კვირის შემდეგ გასასამართლებლათ ბათუმში გაგზავნეს. 1904 წ. 17 ოქტ. ის ბათუმის საქონლის სადგურზე ჟანდარმებს გაექცა. შემდეგ ის მუშაობდა ნოვოროსიისკში და მერე როსტოვში, სადაც დონის კომიტეტის წევრათ მიიწვიეს. აქ ის მიეკედლა «მეუმცირესეებს».

რევოლიუციის დაწყების შემდეგ 1905 წ. თებერვალში ის თფილისში დაბრუნდა. გაზაფხულზე მოხდა ამიერ კავკასიის «მეუმცირესეთა» ორგანიზაციების ყრილობა, სადაც ის ხელმძღვანელ ბიუროს წევრათ აირჩიეს. მას შემდეგ ის მუდმივი წევრი იყო და არის ხელმძღვანელ ორგანოების (საოლქო კომიტეტის და ახლა ცენტრალური კომიტეტის).

1907 წელს ნოე რამიშვილი დაესწრო ლონდონის ყრილობას რის შემდეგ ის რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრათ იყო, სანამ ლენინმა რასკოლი მოახდინა და პარტია გათიშა.

1908 წ. ნოე რამიშვილი გერმანიაში (ლეიპციგში) ცხოვრობდა, სადაც გარდა თვითგანვითარებისა პრაქტიკულათაც ეცნობოდა გერმანიის სოციალდემოკრატიულ მოძრაობას. აქ მან დაჰყო 2 წელი.

1910 წ. ის კავკასიაში დაბრუნდა მარა 2 ნოემბერს ის დაატუსაღეს და კავკასიიდან გადაასახლეს და შემდეგ ორნახევარი წელი როსტოვში ცხოვრობდა.

1913 წ. ის უკან დაბრუნდა და არალეგალურათ პარტიულ გაზეთებს ხელმძღვანელობდა ჯერ ქუთაისში, ხოლო ომის ატეხის შემდეგ თფილისში.

სულ მან ციხეში დაჰყო 1 წელი და 8 თვე, გადასახლებული იყო ორნახევარი წელი, ხოლო არალეგალურათ 10 წელი ცხოვრობდა და პარტიულ მოღვაწეობას ეწეოდა.

მის კალამს ეკუთვნის «სალდათობა» არალეგალური წიგნაკი, რომელიც 1903 წელს დაისტამბა, და «ისტორიული მატერიალიზმი» რომელიც მეორეჯერ გამოიცა.

მეორე რევოლიუციის შემდეგ 1917 წ. ზაფხულში ის თფილისის გუბერნიის კომისრად იყო. 1917 წ. სექტემბრის პარტიულ ყრილობაზე ნოე რამიშვილი დამფუძნებელი კრების დეპუტატათ წამოაყენეს. ის კიდევაც აირჩიეს, მარა დამფუძნებელი კრება გარეკეს და იქ გამგზავრება აღარ მოუხდა.

ის იყო ამიერკავკასიის სეიმის წევრი.

ევგენი გეგეჭკორის კაბინეტში ნოე რამიშვილი შინაგან საქმეთა მინისტრათ მიიწვიეს და ის დღემდის ითვლება ამ ადგილზე.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებისას ის მიწვეული იყო მთავრობაში პრემიერათ და ამ თანამდებობაზე ერთი თვე დაჰყო.

ნოე რამიშვილი მეთაური იყო ჩვენი სამშვიდობო დელეგაციისა ბათუმში და იქ მან ხელი მოაწერა ოსმალეთთან სამშვიდობო ხელშეკრულობას.

ის საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტიის ცენტრალურ კომიტეტში თავმჯდომარის ამხანაგათ ითვლება.

1918 წელი—დამლევი.

◆

## სამძიმრები

უცხოელებისაგან.

ძვირფასო და დიდათ პატივცემულო ამხანაგო ჩხენკელო,

ამ წერილის დაგვიანების მიზეზი გულგრილობა არ ყოფილა. კარლოს სურვილი იყო თვით მოეწერა თქვენთვის. მაგრამ უკანასკნელი კვირეების განმავლობაში მუდამ ძლიერ დაღლილი იყო და ამის გამო წერილიც დღიდან დღეზე იდებოდა. ეხლა კი მეტი გადადება აღარ შეგვიძლია, არ შეგვიძლია დავაგვიანოთ ჩვენი უბედური ამხანაგის რამიშვილის ოჯახისა და თქვენთვის ჩვენი თანაგრძნობის გამოცხადება.

ამ დიდათ დამსახურებულ და დიდათ ნიჭიერ კაცის ტრაღიკულმა დასასრულმა ულრმესად აგვაღელვა კარლო და მე. ჩვენ ხომ წინანდებურათ ვგრძნობთ უძლიერეს ინტიმურ კავშირს ჩვენს ქართველ ძმებთან, მათი ტკივილი ჩვენ ტკივილათ მიგვაჩნია და თვითეულ ბედის ლახვარს, რომელიც მათ ხვდება, ჩვენც მათთან ერთად განვიცდით. კარლო და მე გთხოვთ გააცნოთ ეს წერილი ჩვენი მეგობრის რამიშვილის ოჯახს და დაარწმუნოთ, რომ ასე უდროოდ მოცელილ ამხანაგის ხსოვნას მუდამ სიყვარულით და პატივისცემით შევინახავთ.

მღელვარებით ვიგონებთ იმ მშვენიერ დროს, რომელიც თქვენს კურთხეულ ქვეყანაში გავატარეთ, და ეს მოგონება თვალწინ გვისახავს აგრეთვე კეთილშობილ მიცვალებულის სურათს, რომლის სტუმართმოყვარეობით—ისე როგორც სხვა მრავალი თქვენი თანამემამულის—ჩვენ მაშინ დავსტკბით. მას ვინც ასე მამაცურად და გადაუხრელად იბრძოდა თავისი ქვეყნისათვის, არ ეღირსა ძვირფას სამშობლო მიწაზე კვლავ ფეხი დაედგა და ამას ულრმესად ვდარდობთ ჩვენ, ყველა თქვენთან ერთად.

ჩვენი უწრფელესი გლოვისა და მონაწილეობის გრძნობასან ერთად მიიღეთ აგრეთვე მხურვალე სალამი თქვენი ერთგული მეგობრების

ლუიზა კაუცკი, კარლ კაუცკი.

ვენა 2 იანვარი.

—

ძვირფასო ამხანაგო ახმეტელო,

ნოე რამიშვილის ლაჩრულად მოკვლამ აღმაშფოთა, მისმა სიკვდილმა ჩემში ღრმა გლოვის გრძნობა გამოიწვია. რადგან ვერ დავესწრები სამგლოვიარო კრებას შაბათს, მინდა გითხრათ, რომ მიუხედავათ ამისა თქვენს შორის მიგულოთ რამიშვილის პატივსაცემად და მიიღოთ ჩემი ულრმესი თანაგრძნობა.

რაც არ უნა შეგვემთხვეს—თქვენ და ჩვენ—ჩვენს დაშინებას ვერვინ შესძლებს.

თავი მაღლა და მზათ, ბრძოლისათვის!

თქვენი ერთგული
ფ. შეიდემანი.

ბერლინი, 12 დეკემბერი.

—

ძვირფასო გვარჯალაძევ,

ღრმად აღელვებული ვარ ჩვენი ძვირფასი, უსაზღვროთ თავდადებული და დაუვიწყარი რამიშვილის ტრაღიკული სიკვდილის ამბით. რა ტრაღიკული ბედისწერა, რა მძიმე დანაკლისი საქართველოსათვის. რა უბედურება მთელი საერთაშორისო სოციალიზმის საქმისათვის. სულითა და გულით თქვენთანა ვარ და თქვენთან ერთად დავსტირი ამ იშვიათი ხასიათის ადამიანს, რომელსაც მე ასე ღრმა პატივს ვსცემდი. რა გულისტკივილს განვიცდი რამიშვილის დაღუპვის გამო, რომელიც წავიდა ისევე როგორც ჩხეიძე, ტრაღიკული ბედისწერით აღნიშნული. როგორც ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარე მე თქვენ გიგზავნით გულწრფელ სალამს და ვუცხადებ ღრმა თანაგრძნობას მთელ ჩვენს ძვირფას სოციალდემოკრეტიულ საქართველოს. ვიცი რომ თქვენ ყველანი დაიჭერთ განსვენებულის ალაგს

---

[*] ეს ბიოგრაფიული ცნობები, ნაკარნახევი ნოეს მიერ თფილისში, 1918 წელს, მისი მეუღლე, ამხ. მარო რამიშვილისათვის, უნდა დაბეჭდილიყო მაშინდელ საქართველოს პარლამენტის «ცნობათა წიგნში».

რედაქცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და რომ დაღუპულთა მსხვერპლზე გაიზრდება და იზრდება კიდეც ნორჩ დამოუკიდებელ საქართველოს ახალი და დიადი მომავალი.

მიიღე ჩემი წრფელი გრძნობები
შენი სოუჯუპი.

პრაღა, 10 დეკემბერი.

მსგავსი შინაარსის სამძიმრის წერილი მოუვიდა ამხ. სოუჯუპისაგან აგრეთვე ამხ. ემ. ლომთათიძეს პრაღაში.

—

ძვირფასო ამხანაგებო,

დიდის გულისტკივილით შევიტყვეთ ნოე რამიშვილის მოკვლის ამბავი.

ბელგიის მუშათა პარტია უერთდება საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას, რათა მასთან ერთად იგლოვოს ის მძიმე დანაკლისი, რომელიც მას ხვდა წილად მისი თავმჯდომარის მოადგილის მოკვლით.

მიიღეთ ჩვენი უცხოველესი სამძიმარი; ჩვენ გვწამს, რომ მიუხედავათ მისი ერთი უდიდესი შეფთაგანის დაღუპვისა, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია შესძლებს განაგრძოს ბრძოლა საერთაშორისო სოციალიზმის საქმისათვის.

ძმური სალამით
ბელგიის მუშათა პარტიის გენერალური მდივანი
ვან-რიისბრუკი.

ბრიუსელი, 12 დეკემბერი.

—

ინგლისის მუშათა პარტია უღრმეს თანაგრძნობას უცხადებს საქართველოს სოც. დემოკ. პარტიას მის საყვარელ და პატივცემულ რამიშვილის ტრაღიკულად დაკარგვის გამო. ეს მსხვერპლი ავალებს სხვებს კიდევ მეტს თავდადებას თავისი მიზნისათვის და კიდევ მეტს მხნეობას საქართველოს სოც. დემ. პარტიის საქმისთვის ბრძოლაში.

ვილისი.

ლონდონი, 13 დეკემბერი.

—

იმ წუთში, როცა, ჩვენამდი მოაღწია იმ უმოწყალო დანაკლისის სამწუხარო ამბავმა, რომელიც თქვენ გხვდათ წილათ, გთხოვთ მიიღოთ, ძვირფასო ამხანაგებო, ჩვენი ღრმა თანაგრძნობა. დარწმუნებულნი, რომ საქ. სოც. დემ. მ. პარტია განაგრძობს საერთო საქმისათვის ბრძოლას, ვუგზავნით მას ძმურ სალამს.

შვეიცარიის სოციალისტური პარტია—
რეინჰარდტი.

ბერნი, 13 დეკემბერი.

—

ლაჩრულად მოკლულ მეგობარ რამიშვილის დასაფლავების დღეს ჩვენ თქვენთან ვართ, თქვენი მწუხარება ჩვენი მწუხარებაა.

შვეციის სოც. დემ. პარტია—მეილერი.

—

ძვირფასო ამხანაგებო,

ღრმად შეწუხებული ვარ საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და ქართველ პროლეტარიატისათვის ძველი მებრძოლის ტრაღიკულად დაღუპვის ამბით, მოუთმენლად ველი მკვლელობის ნამდვილ მიზეზის ყოველმხრივ გამორკვევას; ვიჩქარი ჩემი ამხანაგების და პირადი ჩემი მხრით გამოგიცხადოთ უცხოველესი სამძიმარი და ძმური თანაგრძნობა, აგრეთვე გისურვოთ თქვენ მხნეობა და ზნეობრივი სიმტკიცე ასეთი მძიმე დანაკლისის გადასატანათ.

მეგობრული სალამით
გულითადათ თქვენი
ვიქტორ ჩერნოვი.

—

მარტოვის სახელობის ს. დემ. კლუბი ბერლინში უცხადებს საქართველოს სოც. დემ. პარტიას თავის უღრმეს თანაგრძნობას გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწის ამხ. ნ. რამიშვილის გარდაცვალების გამო.

იუდინი.

—

ძვირფასო ამხანაგებო,

ვჩქარით გამოგიცხადოთ უკრაინის სოც.-დემოკ. მუშათა პარტიის საზღვარგარეთის დელეგაციის სახელით ჩვენი ღრმა გულისტკივილი თქვენი პარტიის წევრის, ნოე რამიშვილის, ქართველი და მთელი საერთაშორისო პროლეტარიატის გამოჩენილი მებრძოლის, ტრაღიკული სიკვდილის გამო.

გ. მაზეპა, თ. კოზლოვსკი.

—

აზერბაიჯანის სოციალისტურ პარტიის საზღვარგარეთის ბიურო, რომელმაც საგანგებო სხდომა მოიწვია ამხ. ნოე რამიშვილის ხსოვნის აღსანიშნავათ, თავის სამძიმრის წერილში ჩვენი პარტიისადმი, სწერს სხვათა შორის: «ამხ. ნოე რამიშვილი იყო მუდამ. ჭირში და ლხინში, გულწრფელი და ერთგული მეგობარი, თავდადების მაგალითი და მასწავლებელი, რომელიც ხშირად, თავისი რჩევით და დარიგებით, ხელმძღვანელობდა აზერბაიჯანის ნორჩ სოციალისტურ პარტიის პირველ ნაბიჯებს. მისი ხსოვნა სიყვარულით და პატივისცემით შეინახება სამარადისოთ ჩვენს გულში»...

—

ქართველთა კოლონიებისაგან უცხოეთში.

ქართული კომიტეტი პოლონეთში უღრმეს მწუხარებას გამოსთქვამს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის უდიდეს მებრძოლის და შეუდრეკელი ბელადის ნოეს ტრაღიკულათ დაკარგვის გამო.

ბერლინის ქართველთა კოლონიის გამგეობა: ჩვენს უსაზღვრო მწუხარებას ვუერთებთ თქვენსას და ერის მწუხარებას საქართველოს სასიქადულო შვილის ნოე რამიშვილის ვერაგულად მოკვლის გამო. გთხოვთ გადასცეთ ოჯახს ჩვენი მწუხარება.

სტამბოლის ქართველობა, უაღრესად შეწუხებული უმგვანო და საზიზღარი თავდასხმით, დასტირის თავის ბელადის და მშობელი ერის ინტერესების დაუღალავ მოდარაჯის, ძვირფას ნოეს ცხედარს.

ბელგიის ქართველ კოლონიის გამგეობა: უერთდებით საერთო მწუხარებას საქ. მინისტრის ნ. რამიშვილის ვერაგულათ მოკვლის გამო.

საქართვ. დემ. რეს. თავმჯდ. ბ. ნოე ჟორდანიას. ხარბინის ქართველთა საზოგადოება გამოსთქვამს უღრმეს მწუხარებას ქართველთა ერის და მისი მთავრობის წინაშე ნოე რამიშვილის დაკარგვის გამო. მთელი საზოგადოება მიუხედავათ მიმართულებისა და რწმენისა აღშფოთებულია ვერაგული მკვლელობით და ზიზღით იხსენიებს მის ჩამდენთ.

მტერი გრძნობდა მის ძალას და იმიტომაც ამოიღო ნიშანში, რომ გადამწყვეტ ბრძოლებში შეასუსტოს ჩვენი რიგები. მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს მეთაურები არ დაიხევენ და მედგრად განაგრძობენ ერის საკეთილდღეოთ ბრძოლას. უწინდებურათ ქართველი ერი და მასთან შორეულ აღმოსავლეთის ქართველობაც თქვენთან არის.

ხარბინის ქართ. საზოგ. თავმჯ. მაჩოშვილი.
მდივანი გ. ხუნდაძე.

ოდენკურის ქართველთა კოლონია, ღრმად აღშფოთებული ჩვენი მთავრობის გამოჩენილ წევრის მოკვლით, სასტიკად ჰგმობს ლაჩრულ ბოროტმოქმედებას და უცხადებს თავის მხურვალე თანაგრძნობას და გულისტკივილს მთავრობას და განსვენებულის ოჯახს.

გრენობლის და პონტმარის ქართველობა: ...«გთხოვთ შეუერთოთ ჩვენი მწუხარების ხმა პარიზის ქართველობას და ყოველ პატრიოტ ქართველის დიდ გლოვას».

მარსელის ქართველობა: ჩვენი ნოეს უდროოდ დაკარგვამ უნუგეშო მწუხარეობაში ჩაგვაგდო. გამოგვაცალეს საყვარელი ბელადი, მაგრამ ვიმედოვნებთ რომ მძიმე მსხვერპლი უნაყოფო არ იქნება და ჩვენს საბრძოლველად დარაზმვას საძირკვლად ჩაესვენება..

ბორდოს ქართველთა კოლონია, ღრმად აღელვებული ჩვენი სასიქადულო ნოე რამიშვილის, სამშობლოს ხსნისთვის დაუღალავ მებრძოლის, ტრაღიკული სიკვდილით, უერთდება მთელს ქართველს ერს მის ღრმა მწუხარებაში.

ლიონის ქართველობა იზიარებს მწუხარებას იმ უდიდესი დანაკლისის გამო, რომელიც თავს დაატყდა ქართველ ერს. მოგვტაცეს თავისუფლებისათვის საუკეთესო მებრძოლი.

საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა ასოციაცია უერთდება იმ გლოვას, რომელშიც ჩააყენა მთელი ქართველი ერი ნოე რამიშვილის ტრაღიკულად დაკარგვამ... მტერმა დიდი ზარალი მოგვაყენა, მაგრამ ვერც ეს შეაჩერებს იმ დიად საქმეს, რომელსაც განსვენებულმა თავისი სიცოცხლე შეალია. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ეს საქმე გაიმარჯვებს, ხოლო მისთვის განწირულმა დიდმა მებრძოლმა სამუდამო ძეგლი დაიდგა ქართველი ერის გულში.

—

პარტიულ ორგანიზაციებისაგან.

«... მზათ ვართ შევსწიროთ სიცოცხლე იმ წმინდა საქმის გამარჯვებით დაგვირგვინებას, რომელმაც განსვენებული იმსხვერპლა. ამხ. ნოე რამიშვილის შარავანდედით მოსილ სახეს მხოლოდ ღირსეული შურისძიება შეეფერება. მის სახელის საპატიოდ, მტარვალთა ზეიმის აღსაკვეთად და მათი მზაკვრული მოქმედების დასათრგუნვად დღეს დღეობით ერთია შესაძლებელი—ჩვენი რიგების უფრო გამტკიცება: ერთი მიზნით გამსჭვალულთა ერთად ყოფნა, ერთი გზით სიარული და დამპყრობთა წინააღმდეგ მებრძოლ საქართველოს ძალთა სრული კოორდინაცია.

ზიზღი მუხანათთ, დიდება და ხსოვნა მარადიული ჩვენი ბრძოლის უბადლო ხელმძღვანელს ამხ. ნოე რამიშვილს».

საქ. ს. დ. მ. პ. ბერლინის ორგანიზაცია.

—

მიიღეთ ჩვენი თანაგრძნობა მთავრობის თავმჯდომარევ და პარტიის ბელადო იმ გამოუთქმელ მწუხარებაში, რომელიც ჩვენ ყველას თავს დაგვატყდა ძვირფასი ნოეს ტრაღიკულათ დაღუპვით. თქვენი მეთაურობით გავაორკეცებთ ეროვნულ და პარტიულ ბრძოლას.

პრაღის ქართველ ემიგრანტთა და ს.-დ. ორგან.
მონდობილობით ემუხვარი, ლომთათიძე.

—

... ძვირფასო ნოე, ბელად ჭაღარა—ნოეს დაუღალავო მოწაფევ, ამხანაგების დავალებით გაძლევთ პატიოსან და წმინდა პარტიულ სიტყვას, რომ დანაკლისს შევავსებთ ახალი რიგებით და თქვენს ანდერძს შევასრულებთ პირნათლად, და ურყევათ ვიდგომებით იმ თქვენს მიერ სხვა ბელადებთან ერთად გაკაფულ გზაზე, რომელიც აღებული აქვს საქართველოს სოც. დემოკრატიულ პარტიას ქართველი ერის საკეთილდღეოთ.

იძინე წყნარად და ტკბილად, საყვარელო და საამაყო ბელადო, უცხო ქვეყანაში, სანამ სამშობლო განთავისუფლდებოდეს და ქართველი ხალხი თქვენ ნეშტს ჩვენს ეროვნულ პანთეონს მიაბარებდეს.

სპარსეთში მყოფი ქართველი ს. დ-ები.

—

თავზარდაცემული ჩვენი ძვირფასი ნოე რამიშვილის ტრაღიკულათ დაკარგვით უღრმეს მწუხარებას გიცხადებთ თქვენ და თქვენთან ერთად მის ოჯახს. ბოროტმა ხელმა მოსტაცა ისედაც განსაცდელში მყოფ ჩვენს პარტიას უდიდესი მებრძოლი, მაგრამ საქმე მისი უკვდავია და ჩვენ გვწამს ჩვენი პარტია ამ განსაცდელსაც გადაიტანს, ნოეს საქმეს და მის სახელს გამარჯვებას მოუპოვებს.

ოდენკურის ს.-დ. ორგანიზაცია.

—

ნ. ჟორდანიას, ძვირფას მასწავლებელს და ქართველი ერის ბელადს. ქართველ ახალგაზდა მარქსისტთა ორგანიზაცია ოდენკურში, თავზარდაცემულია საშინელი ამბით... უიმედობა გვიპყრობს როცა ვფიქრობთ თქვენს მარჯვნით დაცარიელებულ ადგილზე. ნუგეშის და მხნეობის ნიშნად დაგვრჩენია თქვენს სახელზე ფიცის დადება, რომ შევეწირებათ ჩვენს მოვალეობას. იყავით მხნეთ და ჯანმრთელათ საქართველოს საკეთილდღეოთ.

ოდენკურის ქარ. ახალგ. მარქ. ორგანიზაცია.

—

სასოწარკვეთილებით დავსტირით შენს დაუვიწყარ სახელს. მაგრამ იცოდე, ეს სასოწარკვეთილება წარმავალია... ფიცს ვდებთ, ფიცს გაუტეხელს, რევოლიუციონურს, რომ შენი სახელი ჩვენთვის გაშმაგებული ბრძოლის და თავდადების სიმბოლო მუდამ დარჩება...

◆



სამგლოვიარო პროცესია სასაფლაოზე

დაკრძალვა მოხდა კვირას, 14 დეკემბერს, Bagneux-ს სასაფლაოზე, რომელიც პარიზს სამხრეთით ეკვრის. დღის 1 საათზე წაასვენეს ნეშტი სასაფლაოსკენ; სამგლოვიარო ავტომობილს ახლდენ მიცვალებულის ოჯახის წევრები, მთავრობის თავმჯდომარე და მისი წევრები, აგრეთვე ზოგიერთი უახლოესი ამხანაგები განსვენებულისა. სასაფლაოს კარებთან ნ. რამიშვილის ნეშტს შეხვდა დიდძალი ხალხი, შემდგარი ქართველებისგან და უცხოელებისგან. კარებთანვე შესდგა დიდი პროცესია, რომელმაც მიაცილა ნეშტი საფლავამდე. ცხედარს მიჰყვებოდა, ოჯახის წევრების შემდეგ, საქ. მთავრობის წევრები ნ. ჟორდანიას მეთაურობით, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგი, ექ. თაყაიშვილი, სხვადასხვა ეროვნებათა და ორგანიზაციათა დელეგაციები და სხვ. კუბო შემკული იყო აუარება გვირგვინებით სხვადასხვა ეროვნულ ორგანიზაციათა, დაწესებულებათა და პირთაგან. დაკრძალვას დაესწრენ, მრავალ მეგობარ და ნაცნობ ფრანგებს გარდა, საფრანგეთის მთავრობის ოფიციალური წარმომადგენელნი, უცხო ელჩები და სხვ.

გათხრილ საფლავთან დასვენებულ ცხედრის წინაშე სიტყვები წარმოსთქვეს: საქ. მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ; ჟენევაში არსებულ საქართველოს დამხმარე საერთაშორისო საზოგადოების და საქართველოს დამხმარე ფრანგულ საზოგადოების სახელით—აბელ შევალიემ; რუსეთის ს.-დ.მ. პარტიის საზღვარგარეთელ დელეგაციის და პარიზის ორგანიზაციის სახელით—ი. ლოდიჟენსკიმ; უკრაინულ ცენტრისაგან—პროფ. შულგინმა (ფრანგულათ); სომხეთის დელეგაციის სახელით—ა. ი. ხატისიანმა; კავკასიის ცენტრის და აზერბეიჯანის სახელით—მ. რასულ ზადემ; მთიელთა სახალხო პარტიის სახელით—გ. ზანოზმა; თურქესტანის ეროვნულ გაერთიანების სახელით—მ. ჩოკაევმა; საქ. ერ. დემ. პარ. სახელით—გ. გვაზავამ; ს. ფედერ. პ. სახელით—გ. ნაკაშიძემ; პოლონეთში ქართველ კოლონიის სახელით—გ. იმნაძემ; ახალგაზ. მარქსისტთა ორგანიზაციის სახელით—ვ. ინწკირველმა; საქართველოს სოციალდემ. პარტიის სახელით—ვლ. მგელაძემ და გ. გვარჯალაძემ.

სიტყვები მოთავსებული იყო «დამოუკიდებელ საქართველოს» მე-60 ნომერში.

გვირგვინები.

განსვენებულის კუბოს ამკობდა ოცდათზე მეტი გვირგვინი:

უნუგეშო ოჯახისაგან (ჩვენს ძვირფას ნოეს). საქართველოს ეროვნულ მთავრობისაგან (ჩვენს სასიქადულო წევრს და საამაყო თანამშრომელს). საქ. პოლიტიკურ პარტიათა წარმომადგენლობისაგან (მამაც მებრძოლს სამშობლოს თავისუფლებისათვის). საქ. ლეგაციისაგან. საქარ. დამხმარე საერთაშორისო კომიტეტისაგან. საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიისა და მისი საზღვარგარეთელ ბიუროსაგან (თავდადებულ მებრძოლს ნოე რამიშვილს). საქ. სოც. დემ. პარტიის პარიზის ორგანიზაციისაგან (სახელოვან ბელადს ნოე რამიშვილს), საქ. სოც.-დემ. პარტიის პრაღის ორგანიზაციისაგან (ძვირფას ამხანაგ ნოე რამიშვილს). ბერლინის სოც. დემ. ორგანიზაციისაგან. ოდენკურის ს. დემ. ორგანიზაციისაგან. ოდენკურის ახალგაზდა მარქსისტთა ჯგუფისაგან. საქ. ახალგაზდა ს. დემ. პარიზის ორგანიზაციისაგან. საფრანგეთში მყოფ ქართველთა ასოციაციისაგან (სამშობლოსათვის თავდადებულ სახელოვან მამულიშვილს ნოე რამიშვილს). ქართულ კომიტეტისაგან ვარშავაში. ბერლინის ქართულ კოლონიისაგან. ოდენკურის ქართველთა ასოციაციისაგან. სტუდენტთა ეროვნულ გაერთიანებისაგან (ეროვნულ ბრძოლის უბადლო ხელმძღვანელს). საფრანგეთში მყოფ ქართველ სტუდენტთა ეროვნულ კავშირისაგან (ეროვნულ ბრძოლის დიად მეთაურს). ეროვნულ დემოკრატიულ პარტიისაგან (დიდ პატრიოტს). რუსეთის სოც. დემოკრ. პარტიის საზღვრგარეთელ დელეგაციისაგან (ჩვენს ძვირფას ამხანაგს ნოე რამიშვილს). რ.ს.დ.მ.პ. პარიზელ ჯგუფისაგან. აზერბაიჯანის ეროვნულ ცენტრისაგან. კავკასიის კომიტეტისაგან. უკრაინის დემოკრ. რესპუბლიკის მთავრობისაგან. თფ. მილიციისაგან. შინაგან საქმეთა სამინ. საგანგებო რაზმისაგან. შალვა და ტიტე ბერიშვილებისაგან (დაუვიწყარ ბიძია ნოეს). სონა-დათიკო—თამარა-ილია (ჩვენს დაუვიწყარ ნოეს). ბაბულია და კოწიასაგან (ძვირფას მეგობარს). მეგობრისაგან. ლევილში მყოფ თანამემამულეებისაგან.

## ბერლინში

«ფორვერტსი» ასე აგვიწერს ბერლინში ნოე რამიშვილის ხსოვნის პატივსაცემათ გამართულ კრებას:

«კიდევ ერთხელ გაცხოველდა ქართველ სახელმწიფო მოღვაწის, სოც. დემოკ. ნოე რამიშვილის შემოქმედება და ბრძოლა სამგლოვიარო კრებაზე, რომელიც გამართულ იქნა «ლანდვერკაზინოში» საქართველოს რესპუბლიკის ყოფილ ელჩის და გერმანიაში მყოფ ქართველთა საზოგადოების მიერ.

ამ სამგლოვიარო მანიფესტაციის ჩარჩოს შეადგენდა სხვადასხვა მუსიკალური პიესა დიდის გრძნობით შესრულებული ებერტ-მარც-კვარტეტის მიერ. საქართველოს კანონიერ, ჟორდანიას მთავრობის წარმომადგენელმა ბერლინში, დ-რ **ახმეტელმა** და, საქ. ს. დ. პარტიის სახელით ნ. **იმნაიშვილმა** დაასურათეს ვერაგულად მოკლულის ძლიერი პიროვნება. მან მიიტანა თავისი სიცოცხლე როგორც თავისი ხალხის, აგრეთვე საერთაშორისო პროლეტარიატის განთავისუფლების სამსხვერპლოზე. ერთნაირად დევნილი ტირანიის და მონობის ორივე რეჟიმისაგან—ცარიზმისა და ბოლშევიზმისაგან, საქართველოს დამოუკიდებლად არსებობის ხანაში, სამი წლის განმავლობაში, მთავრობის თავმჯდომარის და შინაგან მინისტრის თახამდებობაზე ის მთელი თავისი ძალღონით ემსახურება თავის ხალხს. გადმოხიზნულს უცხოეთში, მას არ დაუკარგავს თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლის რწმენა. საქართველოს განთავისუფლების იდეამ მასში ჰპოვა განსაკუთრებით ძლიერი გამოხატულება.

სოციალისტურ ინტერნაციონალის და გერმანიის სოციალდემოკრატიის სახელით **არტურ კრისპინმა** უკანასკნელი მადლობა მიუძღვნა განსვენებულ თანამებრძოლს მისი ჩაგრულთათვის მსხვერპლად მიტანილ სიცოცხლისათვის. შემდეგ ილაპარაკეს აზერბაიჯანის, თურქესტანის და უკრაინის წარმომადგენლებმა; რომელი ქვეყნებიც საქართველოსაებრ ბოლშევიზმის უღლის ქვეშ გმინავენ; ილაპარაკა აგრეთვე საქართველოში გერმანელ უმცირესობის წინანდელმა წარმომადგენელმა.

კედლებს ამშვენებდა საქართველოს თავისუფლების დროშები და ლერბი და სამგლოვიარო გვირგვინით შემკული სურათი ნოე რამიშვილისა.

◆

## პრაღაში

პრაღის ორგანიზაციამ საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიისა და ქართველ ემიგრანტთა საზოგადოებამ ჩეხოსლოვაკიაში მოაწყო შაბათს, 3 იანვარს, სამოქალაქო პანაშვიდი ჩვენი სასიქადულო ამხანაგის და ქართველ ერის სიამაყის, ნოე რამიშვილის პატივსაცემლათ—გაიმართა ის ერთ-ერთ სახალხო სახლის დარბაზში, რომელშიაც რამოდენიმე ასი კაცი ეტევა.

ნოეს დიდი სურათი დაფნის გვირგვინში ჩასმული, გარშემო ეროვნული და შავი ბაირაღებით, ზალაში შესვლისთანავე იპყრობდა ყურადღებას. ჩვენი ნოე მისებურათ ზევიდგან, თავ აწეული დაყურებდა ყველას. ეს საქართველოს არწივი, ერთი გამოჩენილი ჩეხის თქმის არ იყოს, თითქოს მის მეგობრებს არიგებდა—ბრძოლა არ შეასუსტოთ, უჩემობა არ შეიფეროთ, საქმეს ძველებურათ მოუარეთო. ნაშუადღევის 2 ნახ. საათზე ზალა სრულიათ გაივსო. მოვიდა ჩეხის საზოგადოება სენატის თავმჯდომარის სოუკუპის მეთაურობით, დიდძალი უკრაინელები როგორც პოლიტიკური მოღვაწეები, ისე პროფესურა და სხვადასხვა აკადემიური ორგანიზაციებიდგან—, სომხები, მთიელები, ბელორუსები, რუსებიდან—რუსანოვი და ჩერნოვი.

სამგლოვიარო პრეზიდიუმში იჯდა აგრეთვე სოციალისტური ინტერნაციონალის ეკზეკუტივის წევრი ამხ. სოუკუპი.

პანაშვიდს გახსნილათ აცხადებს არჩ. ემუხვარი, საზოგადოება ფეხზე დგება და ისმენს შოპენის სამგლოვიარო მარშს. ამხ. ემუხვარი ქართულათ მიმართავს თავის თანამემამულეებს და თავის სიტყვას ასკვნის იმ ყველასთვის უდაო აზრით თუ რას გვავალებს ჩვენ ქართველებს საერთოთ და ნოეს თანამებრძოლთ კერძოთ ეს უძვირფასესი და უდიდესი მსხვერპლი. ზემოხსენებული ქართული ორგანიზაციების სახელით ჩეხურათ ლაპარაკობს ემ. ლომთათიძე. ის აღნიშნავს მთავარ მომენტებს ნოეს ბიოგრაფიიდგან და მისი მოღვაწეობიდგან. მეტათ მგრძნობიარე სიტყვას ამბობს ჩეხოსლოვაკიის სოც.-დემ. პარტიის მონდობილობით სენატის თავმჯდომარე სოუკუპი. ეს აღზნებული, ცეცხლის მფრქვეველი ტრიბუნი სამჯერ შეჩერდა ლაპარაკის დროს, რომ დაგუბებული ცრემლები შეეჩერებია. შემდეგ ზედიზედ ილაპარაკეს წარმომადგენლებმა სხვადასხვა ეროვნების და პარტიების, როგორც უცხოელებიდგან, ისე ქართველებიდგან.

---

## პრესა

ჩვენ ხელთა გვაქვს ევროპის მრავალი ჟურნალ-გაზეთები—ფრანგული, გერმანული, ინგლისური, ჩეხური, პოლონური და სხვა, რომელთაც წერილები უძღვნეს ამხ. ნოე რამიშვილს. ამ წერილების შინაარსი და ტონი აშკარად მოწმობს, თუ რა ძლიერია ევროპის საზოგადოებრივ აზრში სიმპატია საქართველოს და მისთვის თავდადებულთა მებრძოლებს.

სამწუხაროდ, უადგილობის გამო, დღეს დღეობით მოკლებული ვართ შეძლებას თუ გინდ ნაწილობრივ გავაცნოთ მკითხველს ევროპის პრესის გამოხმაურება ნოე რამიშვილის დაღუპვაზე.

მარო რამიშვილი და შვილები ულრმეს მადლობას უძღვნიან ყველას—ოფიციალურ პირთ, დაწესებულებებს, ორგანიზაციებს თუ კერძო პიროვნებათ, ვინც წერილობით თუ პირადათ თანაგრძნობის გამოცხადებით პატივი სცა მათთვის ძვირფასს და დაუვიწყარ მეუღლის და მამის, ნოე რამიშვილის ხსოვნას.

## წერილი საქართველოდან

საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური და ეკონომიური გაკოტრება ჩვენ მიერ დიდი ხანია იყო გათვალისწინებული, მაგრამ თუ ასეთი სწრაფი ნაბიჯით მოახლოვდებოდა ეს პროცესი, არავის ეგონა. საბჭოთა ბაზარზე აბსოლიუტურათ არაფერი იშოვება. გასულ წლებში საბჭოთა კოოპერატივებში უაღრესათ დაბალი ხარისხის მოჯღანული ტანისამოსი მაინც იშოვებოდა. ახლა კი ამის მსგავსს ვერაფერს ვერსად შეხვდებით. კოოპერატივები როგორც ქალაქებში, ისე პროვინციებში 5 პროცენტითაც ვერ აკმაყოფილებს თუნდაც მარტო მშრომელი ხალხის მინიმალურ მოთხოვნილებას. 9 თვეზე მეტია. რაც ქალაქებში ხორცი სრულიად არ იშოვება. პურს იძლევიან მხოლოდ მსხვილ სამრეწველო ქალაქებში: თფილისში, ჭიათურაში, ფოთში, ბათუმში და ნაწილობრივ ქუთაისში და ისიც რასაკვირველია წიგნაკებით. პროვინციებში პური სრულიად არ იშოვება: აქ მეტათ მცირე რაოდენობას აცხობენ და ეს მარტო საბჭოთა პასუხისმგებელ ბიუროკრატებს, პირველ რიგში ჩეკისტებს ხმარდება.

ქარხნებში მომუშავეებს აძლევენ გირვანქა პურს სულზე მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, მაგრამ ის ისეთი ღირსებისაა, რომ კარგი ჯიშის ცხოველსაც არ ეჭმევა. ჯერჯერობით ჯარს ნორმალურათ აკმაყოფილებენ სანოვაგით.

მუშათა მომარაგება მეტათ ცუდ მდგომარეობაშია. მაგ. თფილისში სასადილოებში ხორცეული შეჭამანდი სრულიად არ იშოვება. კოოპერატივთა სასურსათო დუქნებში თითქმის 24 საათი რიგია გამართული, რომ რამოდენიმე გირვ. პამიდორი მაინც იშოვნონ. გირ. ერბო ღირს 20 მანეთი, გირ. ყველი 8 მანეთი, ხოლო პროვინციაში 5 მანეთი ისიც კერძო ჩარჩებთან, თორემ მუშკოპებში ამის მსგავსი არსად არაფერი იშოვება. კრიზისია თითქმის ყველა პირველ მოთხოვნილების საგნების, როგორც საფაბრიკო ისე სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების. ბედნიერი კაცი ეღირსება, რასაკვირველია წიგნაკით, მინიმალური მოთხოვნილების 10-15 პროცენტით დაკმაყოფილებას. არა თუ ხორცი და რძე, ქალაქებში ხილიც არ იშოვება. ტყავეულობას ვერსად იშოვით. ერთი ფეხსაცმელი, თუ კერძო ვაჭართან იშოვეთ, ღირს 200 მანეთი. ფართლეულს კერძო ვაჭრებთანაც ველარ იშოვით.

ფულის კურსი დღითი დღე ეცემა. ხურდა ფულის დიდი ნაკლებობაა. მთავრობა თვითონ ცდილობს ხურდა ფული ფარულათ მოკრიფოს, რომ ამით ჩერვონეცის დაცემა ოდნავ მაინც შეაჩეროს, ხოლო ხურდის გაქრობას სპეკულიანტებს აბრალებენ.

ხალხში პანიკაა გამეფებული. არავინ არ მალავს თავის უკმაყოფილებას. როგორც მუშები, ისე გლეხობა და დაბალი მოსამსახურენი მასიურათ გამოთქვამენ თავის უკმაყოფილებას და წყევა-კრულვას უგზავნიან საბჭოთა ტირანებს.

მუშათა რეალური ხელფასი საშინლათ ეცემა. გარდა საბჭოთა მაღალი მოსამსახურეებისა და სპეცებისა მუშები თვიურათ 60-70 მანეთს იღებენ, ხოლო ფულის ფასი თანდათან ეცემა და ბაზრიდან საქონელი ქრება. სამი თვის ხელფასით მუშა ერთ უბრალო პალტოს ან ფეხსაცმელსაც ვერ იძენს. რასაკვირველია მუშის ოჯახი შიმშილს განიცდის და იკვებება მხოლოდ ერთი გირვანქა შავი ქერის პურით სულზე.

ამ გარემოებამ საბჭოთა აპარატი საბოლოოთ გახრწნა. ქურდობა, გაფლანგვა, სოფლად პურის დაწვა, კატასტროფა რკინის გზებზე, ძარცვაგლეჯა კოოპერატივებში ყოველდღიურ მოვლენათ გადაიქცა. ხალხის ფართო მასას სხვადასხვა ეპიდემიური ავათმყოფობა მოედვა. ხოლო აფთიაქს არ შეუძლია სათანადო წამალი მიაწოდოს.

ასეთ პირობებში გლეხობა ნატრულობს ომს იმ იმედით, რომ მას იარაღი მიეცემა და საბჭოთა რეჟიმს წესს აუგებს. თვით კომუნისტურ პარტიის ფენების 80-90 პროც. ოპოზიციონურათ არის განწყობილი. ისინიც მოუთმენლათ ელიან მდგომარეობის გართულებას, რომ მასში მხურვალე მონაწილეობა მიიღონ. ქალაქებში კომუნისტ-მუშათა ზოგიერთი წრეები არ მალვენ, რომ ხსნას ისინი ელიან ეროვნულ მთავრობისა და სოციალდემოკრატიულ პარტიის მუშაობიდან.

ასეთ მდგომარეობაში კრემლის დიქტატორებმა პროვოკაციის საყვირი კიდევ უფრო ასწიეს. ჩეკა უაღრესათ განუსაზღვრელი უფლებებით აღჭურვეს და აგვისტოში ჩაატარეს საშინელი რეპრესიები. ამ დროს თფილისში 310 კაცი დაატუსაღეს. მეტეხი ველარ იტევს პოლიტიკურ ტუსაღებს. გურიაში გაავრცელეს ხმა, ვითომ ამხ. ნ. რამიშვილი ჩამოსულიყოს მთებით 30 კაცის თანხლებით, და პარტიული რაზმებით; იმ რაიონებში რეპრესიები გააძლიერეს, თუმცა ვერაფერი აღმოაჩინეს. ბათუმში დააპატიმრეს აზნევთის მუშები, მათშორის კომუნისტებიც.

უპარტიო მუშებს სამსახურიდან მასიურათ ითხოვენ. უმუშევრობა ფართო ხასიათს იღებს. გლეხობამ დიდი ხანია გაანება თავი ზედმეტი საგნების დამზადებას. ის მუშაობს მხოლოდ იმდენს, რომ ოჯახის მინიმალური მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილოს. გლეხობას მუქარით აიძულებენ გააშენოს ბამბა, ჩაი, თამბაქო, მატყლი და სხვა.

რუსეთში უარესია მდგომარეობა. ამას ამტკიცებს ურიცხვ ლტოლვილთა შემოსევა, რის გამო დიდ ქალაქებში, მაგ. თფილისსა და ბათუმში აშკარა პროსტიტუციაა გამეფებული.

ყველა მოლოდინშია. ასე ცხოვრების გაგრძელება შეუძლებელი ხდება.

მნახველი.

---

### საქართველოდან გვწერენ დეკემბრის ბოლო რიცხვებში:

ახალმოტეხილი სიმინდი ღირს ფუთი 6-7 მანეთი, რამდენიმე თვეში ფუთი ავა ოც მანეთამდე; კვერცხი სოფლათ იყიდება თითო აბაზათ, კარაქი არ იშოვება. კოოპერატივში ბოთლ მაჭარს ყიდიან ორ მანეთათ; შაქარი სულ არ არის, ფართალი არ იშოვება, როცა კოოპერატივში მიატანენ პურზე დასარიგებლათ, ერთი ჩხუბი და აყალმაყალია, გლეხები ყვირიან: პირიდან ლუკმა გამოგვაცალეთ და ახლა ტიტველსაც გვტოვებთო. კოლექტივში შესვლის მსურველი არავინაა, რაც პირუტყვი ყავთ, იმასაც დაუწყეს ხოცვა. ფუთ თამბაქოს გლეხებს 12 მან. ართმევენ, თამბაქოს დათესვა აღარავის სურს. ისე კი «კონტრაბანდათ» თამბაქო ფუთი 80-100 მან. იყიდება. რუსეთიდან მოდიან გლეხები და ამბობენ, ჩვენში ფუთი პური 80 მანეთია, კოლექტივებს გამოვექეციეთო და სხ. ყველა სწყევლის ხუთწლიან გეგმას. აქ გავრცელებულია რუსეთიდან ჩამოტანილი ანეკდოტი: «ლენინმა მოსწერა საიქიოდან ცენტრალურ კომიტეტსო—ჩემო ბავშებო, თქვენი ხუთწლიანი გეგმისაგან დარჩება ჩემი სურათები და თქვენი ძვლებიო». აქ იმედი აქვთ რომ ეს ანეკდოტი ადრე განხორციელდება.

◆

## წერილი ჩეხოსლოვაკიიდგან

გასული სექტემბრის უკანასკნელ რიცხვებში (27-29) პრაღაში შესდგა ჩეხოსლოვაკიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მორიგი, მე-16 ყრილობა. ქალაქის ერთ უმშვენიერეს შენობის უდიდეს ზალაში, რომელიც საამაყო ეროვნული კომპოზიტორის სმეტანის სახელს ატარებს. სამი დღე გასტანა ამ იმპოზანტურმა სოციალდემოკრატიულმა პარლამენტმა. იმპოზანტური იყო ის, როგორც შინაარსით, ისე შემადგენლობით. დაესწრო 670 დელეგატი. ვის არ შეხვდებოდით მათ შორისს—პირველ თაობის წარმომადგენელთ — პარტიის დამაარსებელთ 50 წლის წინეთ, მეორე თაობის—დეპუტატებს, სენატორებს, მინისტრებს, ბრძოლაში გაჭაღარავებულთ და რესპუბლიკისა და დამოუკიდებლობის ავტორებს და შემდეგ—მესამე თაობას—ახალგაზრდობას, დამოუკიდებლობის ხანაში აღზრდილს და დავაჟკაცებულს, რომლებიც აგრძელებენ მამების დაწყებულ საქმეს. მამები ამაყობენ შვილებით და შვილები ღირსეული მამებით. ყრილობას დაესწრენ სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიების წარმომადგენელნი ინტერნაციონალის თავმჯდომარის მოადგილის დებრიუკერის მეთაურობით. მათ შორის მოპატიჟებული იყო საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია, რომლის წარმომადგენლებს ამხ. ლომთათიძეს და ემუხვარს ყრილობა მხურვალე ტაშით მიესალმა. ჩვენი პარტიის სახელით ყრილობას მიესალმა ჩეხურ ენაზე ამხ. ემ. ლომთათიძე, რომლის სიტყვა რამდენიმეჯერ იქნა დაჯილდოებული საერთო ტაშის ცემით. სიტყვის იმ ადგილმა, სადაც ორატორმა მოიხსენია ჩვენი პარტიის ბრძოლა ჯერ კიდევ მეფის რეჟიმის პირობებში მთელი რიგი ათეულის წლეების განმავლობაში პარტიის ბელადის ამხ. ჟორდანიას მეთაურობით, გამოიწვია ამხ. სოუკუპის (სენატის თავმჯდომარის) წამოძახება «გაუმარჯოს ჟორდანიას».

ყრილობაზე მიღებულ იქნა მთელი რიგი დადგენილებების—მაგრამ რაც მთავარია, ეს იყო მიღება ახალი პროგრამის. ათი წელიწადია რაც მუშავდება ეს პროგრამა, ის განხილულ იქნა ზედიზედ სამი ყრილობის მიერ, და ნაყოფია დიდი დაკვირვების და პრაქტიკის დამოუკიდებელი რესპუბლიკის მშენებლობის პერიოდში. ყრილობის წინ პროგრამის შესახებ წარმოებდა ამხანაგური, საქმიანი დისკუსია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს განსაკუთრებით ყრილობის წინათვეებში ახალმა ძალებმა. პროგრამის პროექტი ერთხმათ, ფეხზე ადგომით, ოვაციით, დაუსრულებელი ტაშის ცემით მიიღო ყრილობამ. ამან გამოიწვია დიდი გაკვირვება და თან აღტაცება ინტერნაციონალის წარმომადგენელთა შორის.

ყრილობის წინ დელეგატებს დაურიგდა 300 გვერდიანი წიგნი პარტიის ანგარიშით დაწყებული უკანასკნელი ყრილობიდგან (1927 წ.), სავსე სტატისტიკური ცნობებით და დიაგრამებით. ეს ანგარიში შემოკლებით (20 გვ. წიგნი) დაურიგდა სტუმრებს ფრანგულსა და ინგლისურ ენაზე.

ყრილობამ მიიპყრო ფართო საზოგადოების დიდი ყურადღება. მთელი პრესა გამოეხმაურა მას, დაიბეჭდა მრავალი წერილი, როგორც მოყვრის, ისე მტრების მიერ. ეს ბუნებრივია. ჩეხოსლოვაკიის სოციალდემოკრატია ამჟამათ ერთი უდიდესი პარტიათაგანია რესპუბლიკაში, ის არის მეორე პარტია პარლამენტში; მთავრობაში მისი წევრი მინისტრთა თავმჯდომარის ამხანაგია.

მათ სრულიათ გადალახეს კომუნისტური ავათმყოფობა და ჯერ კიდევ ერთი წლის წინეთ მეორე ადგილს მყოფი კომუნისტური პარტია გადააგდეს მეოთხე ალაგას და ეხლა მუშები მასიურათ უბრუნდებიან თავის დედა პარტიას სრული რწმენით და შეგნებით.

ამ წერილში ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოთ ზოგიერთ ადგილებს, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ჩვენი პარტიისთვის. ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სოუკუპმა, როგორც პარტიის წარმომადგენელმა ინტერნაციონალში. ის შეეხო სხვადასხვა ქვეყნებში გაბატონებულ დიქტატურის და განსაკუთრებით შეჩერდა რუსეთის ბოლშევიზმზე, რომლის საშინაო და საგარეო პოლიტიკა სამარცხვინო ბოძზე გააკრა. ამხ. სოუკუპი ერთი საუკეთესო და საყვარელი ტრიბუნია პარტიის და მისი სიტყვაც განსაკუთრებული ყურადღებით იქნა მოსმენილი. ამ სიტყვაში სხვათა შორის მან სთქვა: «საბჭოთა რუსეთი ამაყურათ უძახის თავის თავს ფედერაციას თავისუფალი სოციალისტური რესპუბლიკების—რაც რასაკვირელია სრულიათ მართალი არ არის. მთელი რიგი რუსეთის ერების დაჩორკილია სამხედრო ტერორით და მოკლებულია აბსოლიუტურათ ყოველნაირი სახის თავისუფლებას. უკრაინაში, საქართველოში, მთელ კავკასიაში და სხვაგან ბობოქრობს განუწყვეტელი მიწისქვეშა ომი თავისუფლების და ერთა თვითგამორკვევისათვის. იღვრება სისხლი მებრძოლთა, ციხეები გაჭედილია ტუსაღებით. ჩვენი მოვალეობაა გავუგზავნოთ ამ ჩვენი ყრილობიდგან სალამი ყველა იმ ჩვენ ამხანაგებს, რომლებიც ათასობით იტანჯებიან რუსეთის ციხეებში (მხურვალე ტაში). ჩვენი ვალია მივესალმოთ აგრეთვე იმ ერებს, რომლებიც დღეს სასოწარკვეთილებით ეწევიან ბრძოლას სიცოცხლისათვის, თვითმართველობისათვის და სახელმწიფოებრივ თვითგამორკვევისათვის. ჩვენი ვალია გავუგზავნოთ სალამი სოციალდემოკრატიულ უკრაინას, ჩვენ ვესალმებით უდიდეს გმირ-მებრძოლს, წამებულს სოციალ-დემოკრატიულ საქართველოს, რომელიც ეწევა ისეთივე ბრძოლას თვითგამორკვევისათვის, როგორსაც ჩვენ ვაწარმოებდით ძველ ავსტრიაში. ვესალმებით ყველა დანარჩენ ერებს კავკასიისას და ვეუბნებით მათ, რომ დღევანდელ ბრძოლაში ისინი არ არიან მიტოვებული, ისინი გაიმარჯვებენ და უსათუოთ უნდა გაიმარჯვონ, რადგან მათი ბრძოლა არის ბრძოლა მთელი ჩვენი ევროპის და მსოფლიო სოციალისტური დემოკრატიის» (მხურვალე ტაში).

ყრილობას ამხ. სოუკუპის მოხსენების გამო არავითარი რეზოლიუცია არ გამოუტანია და ამ რიგათ სრულიათ უცვლელი რჩება 1927 წლის ყრილობაზე გამოტანილი რეზოლიუცია—სადაც მოთხოვნილია საბჭოთა ოკუპაციის მოხსნა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის აღდგენა.

ყრილობაზე რუსეთის სოც. დემოკრ. პარტიის წარმომადგენელმა ამხ. დანი მოელაპარაკა კულისებში პარტიის ლიდერებს და პრეზიდიუმის წევრებს, რომ ყრილობას გამოეტანა რეზოლიუცია და დაეგმო ის მასიური ხვრეტა, რომელმაც ამ ჟამათ ხელახალი მასიური ხასიათი მიიღო საბჭოთა რუსეთში. ჩვენმა დელეგაციამ წინადადება მისცა დანს, შეგვედგინა საერთო პროექტი რეზოლიუციის, სადაც მოვიხსენიებდით ეროვნულ დევნასაც. დანმა ეს კატეგორიულათ უარყო. არავითარი ეროვნული დევნა არ არის—ხვრეტენ ყველას განურჩევლათო. საზოგადოთ უარყო რაიმე საერთო რეზოლიუციის შემუშავება. მაშინ ჩვენმა ამხანაგებმა მიმართეს ამხ. სოუკუპს, რომელმაც რაღაც მიზეზის გამო სრულიათ არაფერი არ იცოდა ამ პროექტის არსებობაზე. ის მაშინვე დათანხმდა შეეტანა ცვლილება, თანახმათ ეგზეკუტივის მიერ ბერლინში მიღებული რეზოლიუციისა. რეზოლიუცია გმობს რა ტერორს და განუკითხავ ხვრეტას, რომელიც ხელახლა მოედო მთელ საბჭოთა კავშირს (დანის პროექტით—რუსეთს) უმატებს, ყრილობა უგზავნის სალამს საბჭოთა კავშირის ყველა ერების სოციალისტებს, რომლებიც საშინელ ტერორისტულ რეჟიმში ეწევიან ბრძოლას საერთაშორისო პროლეტარიატის იდეისათვის, გასამარჯვებლათ სოციალიზმის, დემოკრატიის და ერთა თვითგამორკვევის (რეზოლიუცია ერთხმათ მიღებულ იქნა).

ყრილობის დათავების შემდეგ, იმავე საღამოს (29 სექტ.) მოხდა ორ ალაგას მუშათა დიდი მიტინგი, სადაც გამოვიდნენ სიტყვებით ინტერნაციონალის წარმომადგენლები. ერთი ასეთი მიტინგი მოხდა პრაღაში დებრიუკერის, სევერაკის და ინგლისელი დელეგატის მონაწილეობით. მეორე—პრაღის ახლო ქალაქ კლადნოში. ამ ქალაქში არის მეტალურგიული ქარხნები, რომლებიც ითვლის ათასობით მუშებს. ჯერ კიდევ ორი წლის წინ ეს იყო ბოლშევიკების სიმაგრე. დღეს კი ისინი გაქრენ. სახალხო სახლი კოოპერატივები, თეატრი, უმაღლესი სოციალისტური სკოლა, კინო, ქალაქის გამგეობა—ყველაფერი სოც.-დემ. ხელშია. აი აქ გაემგზავრა მთელი რიგი უცხო სტუმრების ამხ. სოუკუპის მეთაურობით. ამ სტუმართა შორის მიპატიჟებული იყო მიტინგზე ამხ. ლომთათიძეც. სახალხო სახლი სავსეა მუშებით, ტევა არ არის. მიტინგი ოვაციით მიესალმა სტუმრებს, რომლებიც ცალ-ცალკე წარუდგინა კრებას თავმჯდომარემ. ილაპარაკეს ორატორებმა—დაწყებული დანიდგან. თავმჯდომარე—ქალაქის თავი, პარტიის თავმჯდომარის ამხანაგი—ამხ. კინდლი აცხადებს: სიტყვა ეკუთვნის საქ. სოც.-დემ. პარტიის წარმომადგენელს ამხ. ლომთათიძეს. რომელმა ჩვენთაგანმა არ იცის საქართველო, რომელიც ეწევა თავგანწირულ ბრძოლას რუსეთის დესპოტიის წინააღმდეგ, ჩვენი ამხანაგების ხელმძღვანელობით და რომლის წარმომადგენელს ჩვენ აქ ვესალმებით (მხურვალე ტაში). სიტყვას აგრძელებს ამხ. სოუკუპი. ის აუწერს თავის სიტყვაში სავსე ამხანაგური თანაგრძნობით და კეთილშობილებით საქართველოს ეკონომიურ და გეოგრაფიულ მდგომარეობას, მის კულტურას, მის შესაძლებლობას, მისი ხანმოკლე დამოუკიდებლობის ისტორიას და ამბობს: აი ეს ჩვენი საქართველო დაიპყრო საბჭოთა რუსეთმა, და მერე იცით ვინ იყო ავტორი სოციალ-დემოკრატიული საქართველოს აოხრების და განადგურების? უღირსი შვილი მისი ქვეყნისა, ქართველი ჯუღაშვილი,—პსევდონიმით სტალინი. აი რა ბედი ეწეოდა ჩვენს ქვეყანას, რომ გაემარჯვებია შმერლის პოლიტიკას, ჯერ დიდი ავსტრიის მოტრფიალეს და შემდეგ კი საბჭოებისას. დღეს საქართველო დაპყრობილია, ის უნდა აღსდგეს. პირველ რიგში იქ იბრძვიან ჩვენი ამხანაგები, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, საქართ. სოც. დემოკრატიული პარტიის პატრიარქი ჟორდანია ეხლა ემიგრანტია პარიზში. წინადადებას გაძლევთ, ამ მიტინგმა გაუგზავნოს მას სალამი (მხურვალე ტაშისცემა). ლომთათიძე იწყებს თავის სიტყვას პრეზიდიუმის მოთხოვნილებით ქართულათ და შემდეგ თარგმნის მას ჩეხურათ თვითონვე. თავის სიტყვას ის ათავებს ღრმა რწმენით, რომ ახლომომავალში საქარ. სოც. დემოკრ. პარტიის ყრილობას დამოუკიდებელ თავისუფალ საქართველოში დაესწრებიან ჩეხოსლოვაკელი ამხანაგები ქართველი ერისა და ჩვენი სოც. დემ. პარტიის მეგობარის ამხ. სოუკუპის მეთაურობით. იქ თქვენ დარწმუნდებით, თუ როგორ აფასებს ქართველი მუშათა კლასი და მთელი ერი მეგობრობას (მიტინგი ხანგრძლივი ტაშით აჯილდოებს სიტყვას).

მიტინგის დაშლისას ლომთათიძესთან მიდის მუშა-ქალების ერთი ჯგუფი ადგილობრივი ორგანიზაციის რწმუნებულით და შესთავაზებს მას ყვავილებს შემდეგი სიტყვებით: როგორც ამ კრებაზე მოვისმინეთ, თქვენი ქვეყანა და თქვენი პარტია ყოფილა ყველაზე უფრო დაჩაგრული და თან გმირული. ამიტომ მხოლოთ ამით შეგვიძლია ამჟამათ გამოვიცხადოთ ჩვენი სიმპატია და თანაგრძნობაო.

ასე თავდება ეს მანიფესტაცია ინტერნაციონალის, სადაც საპატიო ადგილი დაიკავა საქ. სოციალ დემოკრატიამ.

მგზავრი.

◆

დასაბეჭდი წერილები, ფული და სხვა უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:

M-r OURATADZE
10, rue Jules-Ferry. Leuville-s-Orge (S.-et-O.)
France

Arpajon— Imprimerie de *La Gazette de Seine-et-Oise*.

Le Gérant : René Toussaint.